2011 წელი, 20 - 26 ოქტომბერი
ფასი 1 ლარი

# ახალი განათლება

№31 (545) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

## ვეცდებით, 2012 წელს მაქსიმალურად კომფორტული ტესტი შევთავაზოთ პედაგოგებს

გვერდი 2



მეთოდიკა

## მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

## ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 6-7

საგანმანათლებლო კერა

## ფოთის სახალხო განათლების ისტორიიდან

XIX საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი

გვერდი 9

## ყურადღება!

„ახალი განათლების“ რედაქცია, სკოლების მოთხოვნის საფუძველზე, სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შესავსებად და საგნობრივი კაბინეტების თვალსაჩინოებებით აღჭურვისთვის,

**სპეციალურ ფასად გთავაზობთ:**

თემატურ პლაკატებს დაწყებითი და მაღალი კლასებისათვის, ქართველი მწერლების პორტრეტებს, ცნობილი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციებს, ასევე, მხატვრულ ლიტერატურასა და ენციკლოპედიებს,
**ოქტომბრიდან კი, დამატებით – ქართველ მწერალთა ტომეულებს.**

**ჩამონათვალი იხილეთ – გვ. 3, გვ.12**

## ერთ პატარა ოთახში დაწყებული „ქართველთ სწავლის“ ისტორია

ვარიანში თბილი, მზიანი შემოდგომის დღე იდგა. სკოლისკენ მიმავალ გზაზე, ნახევრად ღია ჭიშკრებიდან, კარგად მოჩანდა პომიდვრით სავსე კალათები, ახლად მობერტყილი კაკალი, გასახმობად გაყრილი ლობიო... სკოლის ეზოში სიჩუმე იყო, გაკვეთილები მიმდინარეობდა. შენობის კუთხეში მოსწავლეები შევნიშნე, ისხდნენ და საუბრობდნენ. ვიფიქრე გაკვეთილი უცდებათ და მზეზე თბებიან-მეთქი. მივუახლოვდი, საუბარს ქალბატონი წარმართავდა, ვაჟას შესახებ სვამდა შეკითხვებს. მივხვდი, უნებურად ქართულის გაკვეთილზე აღმოვჩნდი. დაახლოებით 10 წუთში ზარიც დაირეკა. ეს ქალბატონი ქართულის მასწავლებელი **ქეთევან ბერკაციშვილი** აღმოჩნდა. XII კლასში ჯემალ ქარჩხაძის „ლახათ ლუქუმს“ გადიან და დასაწერად თემა მიუცია „ვინ ვარ მე“. გასაგები გახდა, რატომაც დააკავშირეს იმდღევანდელი გაკვეთილი ვაჟასთან. *„ბავშვებმა მთხოვეს, საკლასო ოთახში ცივა და ეზოში ჩავატაროთ გაკვეთილიო, უარი არ ვუთხარი, მართლაც კარგი შემოდგომა გვიდგას. 45 წელია მასწავლებელი ვარ და მოსწავლეებთან კონფლიქტი არასოდეს მქონია, მათთან ხმის აწევაც არ მჭირდება, კარგად გვესმის ერთმანეთის. გაკვეთილებს, ძირითადად, საუბრის, კითხვა-პასუხის, მსჯელობის რეჟიმში ვატარებ. ჩემთვის მთავარია თემის ანალიზი შეძლოს და აზრის გამოთქმის კულტურა შეიძინოს თითოეულმა მოსწავლემ. ხშირად ვკამათობთ კიდეც. ახლაც ასე იყო...“*

გვერდი 4

## სკოლების ბრენდირება

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული სკოლების ბრენდირების პროექტის ფარგლებში ბრენდირებული სკოლები გამოვლინდა.**

**გთავაზობთ იმ სკოლების ჩამონათვალს, რომელთაც ცხრა ვარსკვლავი მიენიჭა.**

გვერდი 5

პედაგოგთა სერტიფიცირება

# პედაგოგს, რომელმაც ჩვენს შვილებს უნდა ასწავლოს, საკმაოდ მაღალი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ

## გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი **სოფო დოლიძე**

**წელს სასერტიფიკაციო გამოცდებში დაწყებითი საფეხურის პედაგოგებიც ჩაერთნენ. მომავალი წლისთვის მათ სიახლე ელით – ტესტი საგნობრივი სწავლების პედაგოგებისთვის. რა კრიტერიუმებით მოწმდება დაწყებითი საფეხურის პედაგოგის ცოდნა და სწავლების უნარი?**

2011 წელს პირველად ჩავატარეთ სასერტიფიკაციო გამოცდა დაწყებითი საფეხურის იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც I-IV კლასებში სამ ძირითად საგანს ასწავლიან. მართალია, კანონით განსაზღვრულია, რომ დაწყებითი საფეხური I-VI კლასებს მოიცავს, მაგრამ აღმოჩნდა, მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი ისევ I-IV კლასებში ასწავლის არა ერთ საგანს, არამედ სამს – ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას. სწორედ ამ მასწავლებლებს შევთავაზეთ, პირველ რიგში, კომპლექსური სასერტიფიკაციო ტესტი. პედაგოგის ცოდნა და სწავლების უნარი სამივე დისციპლინაში მოწმდებოდა. ტესტი პროფესიულ ცოდნასთან ერთად მეთოდიკასაც მოიცავდა.

სასერტიფიკაციო ტესტი ორი ნაწილისგან შედგებოდა: ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწმებდა აკადემიურ უნარებს – წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიტიკურ წერას. ამ ორი საბაზისო უნარის შემოწმება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასწავლებელმა სწორედ ეს უნარები უნდა განუვითაროს მოსწავლეს, რათა მას სხვადასხვა საგნის შესწავლისას პრობლემები არ შეექმნას. ინფორმაციის აღქმა, გააზრება და გაგება, წერის უნართან ერთად, უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია. სასერტიფიკაციო ტესტი ყველა ამ საკითხს მოიცავდა.

ტესტირება 5-საათიანი იყო, მაქსიმალური ქულა – 100. პედაგოგს, წარმატებით რომ ჩაებარებინა გამოცდა, აუცილებლად უნდა დაეგროვებინა, მინიმუმ 61 ქულა, ანუ – მთლიანი ტესტის 60%-ზე მეტი.

ქულების უდიდესი ნაწილი – 80%, ცხადია, მოდიოდა ტესტის ძირითად ნაწილზე – პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა (ამ ნაწილში 80 ქულა იყო დასაგროვებელი); ტესტის ეს ნაწილი მოიცავდა ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების დავალებებს, რომლებიც ორიენტირებული იყო პროფესიულ ცოდნასა და მეთოდიკაზე. ჩვენი პედაგოგებისთვის სიახლე იყო კითხვისა და წერის სწავლების ნაწილი, რომელიც, ასევე, აღნიშნულ ბლოკში ერთიანდებოდა.

20-ქულიანი იყო მეორე – მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი – აკადემიური უნარები. პედაგოგთა კომპეტენტურობის დასადასტურებლად მნიშვნელოვანია ამ ორი საბაზისო უნარის – წაკითხული ტექსტის გააზრებისა და წერის შემოწმება.

**პედაგოგთა კომპეტენტურობის დასადასტურებლად მნიშვნელოვანია ორი საბაზისო უნარის – წაკითხული ტექსტის გააზრებისა და წერის შემოწმება.**

რომ არ მომხდარიყო ისე, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი – 61 ქულა – მხოლოდ პროფესიული უნარების ტესტით გადაელახათ პედაგოგებს, ორივე ნაწილში ცალ-ცალკე დავაწესეთ ქვედა, მინიმალური ზღვრები. ეს ზღვარი იყო 40%-ზე მეტი, ანუ აპლიკანტს პროფესიული ცოდნისა და მეთოდიკის ნაწილში უნდა დაეგროვებინა 33 ქულა (80 ქულის 40%-ზე მეტი), ხოლო აკადემიური უნარების ნაწილში – 9 ქულა (20 ქულის 40%-ზე მეტი). ცხადია, მხოლოდ 33 ქულა ერთ ნაწილში და 9 ქულა მეორე ნაწილში საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ საბოლოოდ ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახული ყოფილიყო (61 ქულა არ იქმნება 33-ითა და 9-ით), პედაგოგს უფრო მეტი ქულები უნდა დაეგროვებინა, მაგრამ თვითონ შეეძლო განესაზღვრა, რომელ ნაწილში მოიპოვებდა ამ ქულებს. მინიმალური ბარიერები უფრო იმ მიზნით დაწესდა, რომ დავრწმუნებულიყავით, აპლიკანტმა ორივე ნაწილზე იმუშავა.

**მინიმალური ბარიერები იმ მიზნით დაწესდა, რომ დავრწმუნებულიყავით, აპლიკანტმა ორივე ნაწილზე იმუშავა. სამწუხაროდ, იყვნენ ისეთი პედაგოგები, რომლებმაც არ იცოდნენ ქვედა ბარიერების არსებობის შესახებ და ამიტომ ვერ დააგროვეს საკმარისი ქულები ორივე ნაწილში.**

რადგან ბევრ სკოლაში მიმდინარეობს საგნობრივი სწავლება, ამიტომ 2012 წლიდან სიახლეს ვთავაზობთ ჩვენს პედაგოგებს – სწორედ მათ შევთავაზებთ სასერტიფიკაციო ტესტს, ვინც საგნობრივად ასწავლის I-VI კლასებში. მომზადდება 4 სხვადასხვა ტესტი: ერთი იქნება ისევ დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების სამი ძირითადი საგნის მასწავლებლებისთვის, როგორიც იყო 2011 წელს; გარდა ამისა, დაემატება სამი ტესტი – ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისთვის, მათთვის, ვინც ერთი კონკრეტული საგნის პროფესიონალია, სურს I-VI კლასებში ასწავლოს საგნობრივად და სერტიფიკატიც ამ კონკრეტული საგნის სწავლებისთვის მოიპოვოს. ბევრი სკოლა, განსაკუთრებით კერძო სკოლები, გადასულია საგნობრივ სწავლებაზე.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სწავლების პროფესიონალი პედაგოგები განსაკუთრებით აქტუალურია V-VI კლასებში, სადაც კლასიკური დაწყებითი განათლების მქონე პედაგოგები აღარ ასწავლიან ხოლმე, ისინი IV კლასში ასრულებენ მოღვაწეობას. V-VI კლასებში, როგორც წესი, ასწავლიდნენ VII-XII კლასების, ანუ საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლები. ასე რომ არ მოხდეს და კონკრეტული საგნის დაწყებითი განათლების სპეციალისტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ასწავლონ I-დან VI კლასამდე ერთი კონკრეტული საგანი, 2012-ში მათ საგნობრივ გამოცდებს შევთავაზებთ. შესაბამისად, უფრო მეტ აპლიკანტს ველოდებით.

**ძალიან მნიშვნელოვანია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა სწორად ასწავლოს საგანი პირველივე ნაბიჯებიდან, პირველივე საფეხურიდან იმიტომ, რომ შეიქმნას საფუძველი, რომელზეც მომავალში ცოდნა უნდა დაშენდეს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

2010 წელს ჩატარებულ საცდელ ტესტირებაზე საგნობრივი პედაგოგები მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. ძალიან ცოტა მასწავლებელი მოვიდა ბუნებისმეტყველების გამოცდაზე, სულ ათიოდე, რადგან არ იყვნენ დაინტერესებულები – იცოდნენ, რომ მათთვის პირველ წელს ტესტირება არ ტარდებოდა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები – ცოტა მეტი, ასევე – მათემატიკის. შედეგები მათ უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების სამი ძირითადი საგნის პედაგოგებს, მაგრამ ძალიან ცოტანი იყვნენ, ამიტომ რეალური დასკვნების გაკეთება და პროგნოზირება, რა სურათი იქნება გამოცდაზე, შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, ადამიანი, რომელიც ერთი საგნის სპეციალისტია, გაცილებით კომპეტენტურად შეძლებს ამ საგნის სწავლებას. ძალიან მნიშვნელოვანია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა სწორად ასწავლოს საგანი პირველივე ნაბიჯებიდან, პირველივე საფეხურიდან იმიტომ, რომ შეიქმნას საფუძველი, რომელზეც მომავალში ცოდნა უნდა დაშენდეს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**როგორი იყო დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სერტიფიცირების შედეგები?**

წლევანდელი შედეგებით უკმაყოფილო არ ვართ. ის, რომ ადამიანმა სამი საგნის სწავლება შეძლოს, ძალიან დიდი გამოწვევა, ამავდროულად, სერიოზული ვალდებულებაა. აპლიკანტების, დაახლოებით, 28%-მა შეძლო ბარიერის გადალახვა (ყველა ბარიერის – როგორც ქვედა ბარიერების, ასევე მთლიანის). ვულოცავ მათ და წარმატებას ვუსურვებ პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

რაც შეეხება იმას, რომ დიდმა ნაწილმა, თითქმის 70%-მა, ბარიერი ვერ გადალახა, სამწუხაროდ, იყვნენ ისეთი პედაგოგები (თუმცა ბევრი არა), რომლებმაც არ იცოდნენ ქვედა ბარიერების არსებობის შესახებ და ამიტომ ვერ დააგროვეს საკმარისი ქულები ორივე ნაწილში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გამოცდაზე უბრალოდ ძალების მოსასინჯად, თითქოს ერთგვარ რეპეტიციაზე მოვიდნენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გამოცდა არ იყო ადვილი. გავიმეორებ, რომ ეს კომპლექსური გამოცდა იყო, რომელიც პედაგოგთა ცოდნას და სწავლების უნარს სამივე საგანში აფასებდა. ძალიან მაღალი იყო ბარიერი, რაც იმითაა გამართლებული, რომ პედაგოგებს, რომლებმაც ჩვენს შვილებს უნდა ასწავლონ, საკმაოდ მაღალი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ. ასეთ მოთხოვნებს უყენებს მათ სტანდარტი.

წელს დარეგისტრირებული იყო 3500 პედაგოგი, თუმცა, რეალურად 3014 საგამოცდო ნამუშევარი გავასწორეთ. ცხადია, პედაგოგთა ნაწილი გამოცდაზე არ გამოცხადდა. მათთვის, ვინც გამოცდაზე გავიდა, ეს ძალიან კარგი რეპეტიცია იყო, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი თვალით ნახო საგამოცდო გარემო და ტესტი, დაგეგმო ტესტზე მუშაობის დრო, ბევრი რამ არის ისეთი, რაზეც შემდგომში დროს აღარ დაკარგავ. სწორედ ამ მხრივ 2011 წლის სერტიფიცირება ბევრისთვის კარგი გამოცდილება იყო, რომელიც მომავალი წარმატების საწინდარი შეიძლება გახდეს.

აპლიკანტთა დიდი ნაწილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს პირველივე გამოცდაზე თუ ვერ გადალახავს, ვფიქრობ, ამაში საგანგაშო არაფერია. მათთვის გამოცდა კარგი გავარჯიშება იქნება, გაეცნობიან ტესტურ დავალებებს, ტესტის ფორმატს, შეეგუებიან საგამოცდო ატმოსფეროს. არ არის იოლი 5 საათი გამოცდაზე ჯდომა, წერა და შრომა, ეს საკმაოდ რთული და სტრესულია. ვეცდებით, მაქსიმალურად კომფორტული ტესტი შევთავაზოთ პედაგოგებს 2012 წელსაც. აუცილებლად მოვამზადებთ დამხმარე მასალათა კრებულებს. ოთხივე გამოცდის შესახებ ინფორმაცია შეიძლება ერთ კრებულში იყოს თავმოყრილი, რადგან ამ გამოცდებს, ცხადია, ბევრი საერთო ექნება. ასევე, ვეცდებით მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ პედაგოგებს საგამოცდო ტესტის შესახებ, განვიხილავთ ნიმუშებს საგამოცდო ნამუშევრებიდან, რატომ და როგორ შეფასდა ესა თუ ის ნამუშევარი. ვფიქრობ, კრებულები ძალიან ინფორმატიული იქნება ჩვენი პედაგოგებისთვის და იმედი გვაქვს, დაეხმარება გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში.

**ვეცდებით, მაქსიმალურად კომფორტული ტესტი შევთავაზოთ პედაგოგებს 2012 წელს. ასევე, ვეცდებით მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ მათ საგამოცდო ტესტის შესახებ, განვიხილავთ ნიმუშებს საგამოცდო ნამუშევრებიდან.**

ყველა პედაგოგს ვუსურვებ წარმატებას.

*ესაუბრა*
***ლალი თვალაბეიშვილი***

# სიახლე!

## „ახალი განათლების“ რედაქცია სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს თემატურ პლაკატებს, რეპროდუქციებსა და ქართველ მწერალთა პორტრეტებს

### თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

### თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
12. საქართველოს სამეფო დინასტია
13. ძველი რომი
14. მსოფლიოს დროშები
15. ზღვის დინებები
16. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
17. სამყაროს წარმოშობა
18. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

### ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

**მწერალთა პორტრეტები** (34X47 სმ)

1. ექვთიმე თაყაიშვილი
2. მიხეილ ჯავახიშვილი
3. გიორგი ლეონიძე
4. ტერენტი გრანელი
5. ნიკო ლორთქიფანიძე
6. გრიგოლ რობაქიძე
7. ირაკლი აბაშიძე
8. ლადო ასათიანი
9. ნოდარ დუმბაძე
10. მირზა გელოვანი
11. აკაკი ბაქრაძე
12. ვასილ ბარნოვი
13. პაოლო იაშვილი
14. ტიციან ტაბიძე
15. სულხან-საბა ორბელიანი
16. ნიკოლოზ ბარათაშვილი
17. იოსებ გრიშაშვილი
18. პოლიკარპე კაკაბაძე
19. გურამ რჩეულიშვილი
20. იაკობ ხუცესი
21. იოანე საბანისძე
22. კონსტანტინე გამსახურდია
23. დავით გურამიშვილი
24. ბესიკი
25. მურმან ლებანიძე
26. რევაზ ინანიშვილი
27. ალექსანდრე ყაზბეგი
28. ალექსანდრე ჭავჭავაძე
29. იაკობ გოგებაშვილი
30. დავით კლდიაშვილი
31. აკაკი წერეთელი
32. რუსთაველი
33. ვაჟა-ფშაველა
34. თეიმურაზ I
35. ვახტანგ VI
36. გიორგი მერჩულე
37. ილია ჭავჭავაძე
38. გრიგოლ ორბელიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

### ხელოვნების კაბინეტისთვის

**რეპროდუქციები**

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. იმპრესიონისტების სურათები 10 დასახელება
3. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
4. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
5. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
6. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
7. მენინები - ველასკესი
8. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
9. მხატვრის ბაღი -კლოდ მონე
10. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
11. საქანელა - რენუარი
12. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

სოფლის სკოლა

# ერთ პატარა ოთახში დაწყებული „ქართველთ სწავლის“ ისტორია

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და სკოლაში შევედი. საკმაოდ მოზრდილი ორსართულიანი ქვის შენობაა, მართლაც ძალიან ცივა. სკოლას ახალგაზრდა ქალბატონი **ლია წიკლაური** უძღვება. გორის პედაგოგიური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა აქ ჯერ პედაგოგად დაიწყო მუშაობა, შემდეგ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო, ხოლო 2007 წლიდან არჩეული დირექტორია. დღეს ვარიანში 241 მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს 24 პედაგოგი ემსახურება, მათგან 4 სერტიფიცირებულია, მათემატიკის მასწავლებელი **ინგა ხოხაშვილი** კი 1000-ლარიანი ხელფასის მოლოდინშია. დანარჩენები სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის ემზადებიან.

შესვენება დამთავრდა. ბავშვებმა საკლასო ოთახებს მიაშურეს. დერეფნის ბოლოში კარგა მოზრდილი ოთახი ბიბლიოთეკას უჭირავს. სოფლის ბიბლიოთეკა გაუქმებულა და მთელი წიგნადი ფონდი სკოლისთვის გადაუციათ. ახლა 12000-ზე მეტი დასახელების წიგნია ბიბლიოთეკაში. ფონდი კი გაიზარდა, მაგრამ, ძირითადად, ძალიან ძველი გამოცემებით. ახლა, როცა სკოლები ბრენდირებისთვის ემზადებიან, ალბათ, ბიბლიოთეკის ფონდის განახლებისთვის ზრუნვაც იქნება საჭირო.

ერთი წუთით პირველკლასელებთანაც შევიხედე. ჩვიდმეტივეს მერხზე ნეთბუქი და გადაშლილი „დედაენა“ უდევს. როგორ არ ჰგავს ეს გარემო იმ პაწაწინა ოთახს (რაც თითოეულ ჩვენგანს აქვს ნანახი გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში), სადაც ჩაეყარა საფუძველი ვარიანში სწავლა-აღზრდის საქმეს.









* * *

ზუსტად 110 წლის წინ, 1901 წელს სოფელ ვარიანში, კერძოდ, წყაროსუბანში, გოგებაშვილების სახლის ერთ პატარა ოთახში, რომელიც თავად იაკობს ეკუთვნოდა, მისივე ინიციატივით, გაიხსნა სკოლა სოფლის გლეხების შვილებისათვის. მასწავლებლად თავისი ძმისშვილი ალექსანდრე გოგებაშვილი გაამწესა. ხელფასითა და სწავლისათვის საჭირო ნივთებით სკოლას იაკობ გოგებაშვილი თავად უზრუნველყოფდა. ასე რომ, ღარიბ ვარიანს, და არა მარტო ვარიანს, სწავლაში გროშიც არ ეხარჯებოდა. სწავლის მსურველთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. კლასში მათი მოთავსება შეუძლებელი გახდა, იაკობმა ვარიანელი გლეხის შვილებისთვის მამა-პაპისეულ სახლს ოთახები მიაშენა, უფრო მოგვიანებით კი, როცა ესეც არ იყო საკმარისი, გაკვეთილები ბავშვებს მეზობელ ოჯახებშიც უტარდებოდათ. ასე გაგრძელდა წლების განმავლობაში (ვარიანელი ახალგაზრდები აქ მხოლოდ საბაზო განათლებას იღებდნენ), ვიდრე 1954 წელს სოფელში არ აიგო რაიონში პირველი ტიპური საშუალო სკოლა, რომელსაც იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა. ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ დაიწყო ზრუნვა გოგებაშვილების სახლში მემორიალური მუზეუმის გახსნისათვის. ახალ სკოლაში კი, დღემდე არსებობს ასეთი ტრადიცია – პირველი კლასის მასწავლებელი პირველ საანბანო გაკვეთილს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში არსებულ საკლასო ოთახში ატარებს. სხვა მხრივ აქ ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით 90-იანი წლების შემდეგ. დანგრევის პირას მისული შენობის სრული რეაბილიტაცია მხოლოდ 2005 წელს მოხერხდა პროექტ „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში, ამავე წელს, პროექტ „გიორგი ნიკოლაძის“ მეშვეობით, სკოლას 3000 ლარი გადაეცა, რითაც ღია სპორტული მოედანი მოეწყო, ხოლო მომდევნო წელს, „ირმის ნახტომის“ ფარგლებში – 8 კომპიუტერი (ამჟამად სკოლაში 16 კომპიუტერია). დღეისათვის სკოლა მთლიანადაა აღჭურვილი ახალი სასკოლო ინვენტარით, თუმცა შენობა მართლაც რომ ტიპური საბჭოთა ნაგებობაა, ყველა პარამეტრით. სპორტის მასწავლებელი **იასონ ადუაშვილი** ამბობს, რომ ღია და დახურული სპორტული მოედნები არასტანდარტულია, მაშინდელი ნორმები არ ითვალისწინებდა დარბაზში მაყურებელს, ამიტომ შეჯიბრებებს კი მართავენ, მაგრამ მაყურებელი მხოლოდ მაშინ ჰყავთ, როცა შეჯიბრება სკოლის ღია სპორტულ მოედანზე ეწყობა. სკოლამ სპორტის სამი სახეობა აირჩია – კალათბურთი, ფეხბურთი და ფრენბურთი. პედაგოგის გადაწყვეტილებით, თითოეული სახეობის შესწავლას 3-3 თვე ეთმობა, ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი აქვთ, რაც შემოაკლდებათ, იძენენ. მეზობელი სოფლების სკოლებსაც ეჯიბრებიან ხოლმე ამ სახეობებში, მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. ბავშვებს მოსწონთ ამ ტიპის გაკვეთილები და ხალისითაც ვარჯიშობენ, სკოლას ორი საქართველოს ჩემპიონიც ჰყავს, ოღონდ კრივში – მეთერთმეტეკლასელები **პაატა ადუაშვილი** და **იოსებ აბულაძე**.

* * *

სწავლების თანამედროვე მეთოდების მცოდნე, შემოქმედებითად აქტიური პედაგოგი მიმდინარე რეფორმის აუცილებელი მოთხოვნაა. სამწუხაროდ, ჩვენი სკოლები განებივრებული არ არიან ასეთი პედაგოგებით, ამიტომაც იყო სასიამოვნო ვარიანის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელთან, **თამარ დავითიძესთან** შეხვედრა. ახალგაზრდა პედაგოგი ორი სერტიფიკატის მფლობელია – ბიოლოგიასა და სამოქალაქო მომზადებაში (ამ საგანსაც ასწავლის). ახლა საბუნებისმეტყველო საგნებს სახელმწიფო მეტ მოთხოვნებს უყენებს, პედაგოგსაც მეტი ძალისხმევა სჭირდება მოსწავლეების დაინტერებისათვის. სწორედ ამ მიზნით ჩაერთო იგი პროექტში, რომლის შესახებაც თავად გვიამბობს: *„პირველ რიგში, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ნამდვილად გაუმჯობესდა ბიოლოგიის სახელმძღვანელოები, გამრავალფეროვნდა და დაიტვირთა სააზროვნო პრაქტიკული სავარჯიშოებით. რაც შეეხება პროექტს, იგი 2009 წელს დაიწყო პოლონეთის მთავრობის დაფინანსებით და ჰქვია „ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი“. აქცენტი კეთდება საბუნებისმეტყველო საგნების მარტივი ექსპერიმენტებით დატვირთვაზე და სასწავლო პროცესისადმი მიდგომასა და დამოკიდებულების შეცვლას ემსახურება. კონკურსის შედეგად შერჩეულმა ჯგუფმა სათანადო ტრენინგი ვარშავაში, კოპერნიკის სახელობის სამეცნიერო ცენტრში გავიარეთ, შევისწავლეთ მეთოდები, რომლის მიხედვითაც, პროექტის ფარგლებში, უნდა ჩავატაროთ გაკვეთილები. დაბრუნების*





*შემდეგ მიღებული ცოდნა კოლეგებს, შიდა ქართლის სოფლების ბიოლოგიის მასწავლებლებს გავუზიარე. ეს იყო შანსი, საკუთარი თავი ტრენერის როლშიც მომესინჯა. ამ მხრივაც საინტერესო გამოდგა პროექტში მონაწილეობა, რომელიც უფრო გაფართოვდა და ჰქვია „თანაბარი შანსები ყველასათვის“. იგი ითვალისწინებს სოფლის ტიპის დასახლებაში განათლების შეტანას, გაკვეთილების ექსპერიმენტებით დატვირთვით. პროექტის ფარგლებში, გორში შეიქმნა განათლების განვითარების ცენტრი, რომელიც აღჭურვილია ექსპერიმენტებისათვის საჭირო ნანოტექნოლოგიური ყუთებით. პედაგოგს შეუძლია ცენტრიდან ითხოვოს გაკვეთილისთვის საჭირო ყველა ტექნიკური საშუალება, რომელსაც გამოყენების შემდეგ უკან დააბრუნებს. პედაგოგები, რომლებიც ამ მეთოდით ატარებენ გაკვეთილებს, საჩუქრად იღებენ ე.წ. „ჯადოსნურ ყუთს“, რომელიც მარტივ მოწყობილობებს მოიცავს და საუკეთესო საშუალებაა, როგორც თვალსაჩინოება. ასეთი ექსპერიმენტებით ჩატარებული გაკვეთილები ძალიან მოსწონთ ბავშვებს, მაგალითად, განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებოდნენ მეათეკლასელები უჯრედიდან დნმ-ის გამოყოფის პროცესს, საფუარის სოკოს ცხოველმოქმედებას და ა.შ. დღევანდელ გაკვეთილზეც ერთი მოსწავლე კარტოფილის ბოლქვებითაა მოსული, მაშასადამე ისევ რაღაცას დავაკვირდებით და აღმოვაჩენთ. მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებაც აქედან იწყება“.* ეს რომ ასეა, გაკვეთილზეც გამოჩნდა. ბავშვებს ყველაფრის გაგება ერთბაშად უნდათ, უამრავ შეკითხვას სვამენ „ჯადოსნურ ყუთში“ მოთავსებული ხელსაწყოების შესახებ. თამარ მასწავლებელი მოთმინებით ცდილობს მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. *„ერთი ოცნება მაქვს, მინდა ჩემი მოსწავლეები კოპერნიკის ცენტრში მოხვდნენ. ვფიქრობ, მათთან თანამშრომლობით შეიძლება პროექტის მოფიქრება და ოცნების რეალობად ქცევა“,* – ამბობს თამარ დავითიძე.

გეოგრაფიის მასწავლებელი **ლალი ონიაშვილი**, 22-წლიანი პედაგოგიური გამოცდილებით, სინანულით იხსენებს, როგორ „დაჩაგრა“ მისი საგანი ისტორიასთან ინტეგრირებამ. მსგავსი ნაჩქარევი ექსპერიმენტების კატეგორიული წინააღმდეგია. ამბობს, რომ გეოგრაფია ერთი იმ დისციპლინათაგანია, რომლითაც ბავშვის დაინტერესება ძალიან იოლია, მით უმეტეს სოფელში. *„გაკვეთილს ხშირად ვატარებთ სკოლის გარეთ, გააჩნია რა თემას ვხსნი, ხან ახლომდებარე ქედებზე ვაწყობთ ექსკურსიას, ხან მდინარის სიჩქარეს ვზომავთ, ნიადაგს ვაკვირდებით, მხარეების გაგებას ვსწავლობთ... ეს უბრალო ექსკურსიები არ არის, სამყაროს შემეცნებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯებია, რაკი აქაც შედეგი უმთავრესია, მეამაყება, რომ წლევანდელმა მეთორმეტეკლასელებმა, სხვათა შორის, არც ერთი არ ემზადებოდა, ყველაზე მაღალი შეფასება სწორედ გეოგრაფიაში მიიღეს“.*

* * *

ვარიანის საჯარო სკოლის 29 მოსწავლიდან საატესტაციო გამოცდაზე მხოლოდ 10 გავიდა, მათგან 8 სტუდენტი გახდა. დანარჩენების ბედი უცნობია. სოფელში, საიდანაც სათავეს იღებს „XIX საუკუნის ქართველთ სწავლის ისტორია“, იგივე რომ არ განმეორდეს, სკოლამ ამისათვის აქედანვე უნდა იზრუნოს.

***ანა ფირცხალაიშვილი***

**ინფორმაცია**

# სკოლების ბრენდირება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული სკოლების ბრენდირების პროექტის ფარგლებში ბრენდირებული სკოლები გამოვლინდა. ბრენდირების პროცესში გამოვლენილი ათი საუკეთესო სკოლის დირექტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი შეხვდა და სპეციალური სერტიფიკატები გადასცა. აღნიშნულ სკოლებს ცხრა ვარსკვლავი მიენიჭა. ბრენდირებული სკოლების ნუსხა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება.

სკოლებში ბრენდირების პროცესი გასულ წელს დაიწყო. საჯარო სკოლებისთვის ბრენდირება სავალდებულოა, კერძო სკოლებისთვის კი – ნებაყოფლობითი. აღნიშნულ პროცესში სკოლამ სხვადასხვა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს, რომლის მიხედვით განისაზღვრება, რამდენი ვარსკვლავი მიენიჭება.

ბრენდირების საწყის ეტაპზე სკოლები თავად სკოლის ადმინისტრაციამ შეაფასა, ხოლო მათთვის ვარსკვლავების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება უკვე სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მიიღო. სკოლის შეფასების მაქსიმალური შკალა ათი ვარსკვლავით განისაზღვრა. თავდაპირველად, ყველა სკოლას ხუთი ვარსკვლავი ავტომატურ რეჟიმში მიენიჭა. სკოლებისთვის ვარსკვლავის მომატება სხვადასხვა კრიტერიუმზე იყო დამოკიდებული. მეათე – მაქსიმალური ვარსკვლავი აკრედიტაციის შედეგად მიეცემა.

ბრენდირების პროცესში სკოლა შემდეგი კრიტერიუმებით ფასდება:

- სწავლა-სწავლება;
- მასწავლებელთა კვალიფიკაცია;
- პროგრამები, პროექტები და ოლიმპიადები;
- სკოლის წარმატების მონაცემები;
- სკოლის ინსტიტუციონალური მონაცემები;
- სასკოლო ატესტატი და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მაჩვენებელი.

ბრენდირების ძირითადი მიზანი სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა და, სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით, მათი წახალისებაა. ბრენდირება დაეხმარება მშობლებს, წინასწარ მიიღონ ინფორმაცია სკოლების შესახებ და სწორი არჩევანი გააკეთონ. სკოლების ბრენდირების პროცესი მუდმივად განხორციელდება და ბრენდირებული სკოლები ყოველთვიურად გამოვლინდებიან.

## სკოლები, რომელთაც ბრენდირებისას ცხრა ვარსკვლავი მიენიჭათ:

### ისანი-სამგორი

**სსიპ - ქ. თბილისის №117 საჯარო სკოლა, დირექტორი – დალილა ზუხბაია;**
**სსიპ - ქ. თბილისის №124 საჯარო სკოლა, დირექტორი – შოთა კვირტია;**
**სსიპ - ქ. თბილისის №157 საჯარო სკოლა, დირექტორი – შორენა ბუნტური;**
**სსიპ - ქ. თბილისის №180 საჯარო სკოლა, დირექტორი – მადონა მუმლაძე;**
**სსიპ - ქ. თბილისის №94 საჯარო სკოლა, დირექტორი – მარინა ჩაგანავა.**

### ძველი თბილისი

**სსიპ - ქ. თბილისის №1 საჯარო სკოლა, დირექტორი – ამირან ჯამაგიძე;**
**სსიპ - ქ. თბილისის №21 საჯარო სკოლა, დირექტორი – მაია ჩიკვაიძე;**
**სსიპ - ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის №23 საჯარო სკოლა, დირექტორი – ედუარდ კიკნაძე;**
**სსიპ - ქ. თბილისის №24 საჯარო სკოლა, დირექტორი – გრიგოლ მურღულია;**
**სსიპ - ქ. თბილისის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლა, დირექტორი – ალუდა გოგლიჩიძე;**
**სსიპ - ქ. თბილისის №51 საჯარო სკოლა, დირექტორი – დავით ლაგვილავა;**
**სსიპ - ქ. თბილისის №63 საჯარო სკოლა, დირექტორი – ნანა მონიავა;**
**სსიპ - ქ. თბილისის №77 საჯარო სკოლა, დირექტორი – ნანა ხიდეშელი;**
**სსიპ - ქ. თბილისის №47 საჯარო სკოლა, დირექტორი – ირმა ხუციშვილი.**

### ვაკე-საბურთალო

**სსიპ - ქ. თბილისის №122 საჯარო სკოლა, დირექტორი – ლალი რამინაშვილი;**
**სსიპ - ქ. თბილისის №128 საჯარო სკოლა, დირექტორი – მაია ხახალეიშვილი;**
**სსიპ - ქ. თბილისის №161 საჯარო სკოლა, დირექტორი – აკაკი ხუსკივაძე;**
**სსიპ - ქ. თბილისის №195 საჯარო სკოლა, დირექტორი – ლალი ბერიშვილი;**
**სსიპ - ვ. კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა, დირექტორი – ივანე კვიტაშვილი;**
**შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“, დირექტორი – დავით კახნიაშვილი;**
**შპს - ბრიტანულ-ქართული აკადემია, დირექტორი – ნათია ჯანაშია;**
**სსიპ - ქ. თბილისის №54 საჯარო სკოლა, დირექტორი – ზინა წერეთელი;**
**სსიპ - ქ. თბილისის №60 საჯარო სკოლა, დირექტორი – თეა გოგნაძე;**
**სსიპ - ქ. თბილისის №52 საჯარო სკოლა, დირექტორი – პაატა ბერიკაშვილი;**
**სსიპ - ქ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა, დირექტორი – ზაზა გრიგალაშვილი.**

### გლდანი-ნაძალადევი

**შპს - ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა, დირექტორი – მამუკა მესხიშვილი;**
**სსიპ - ქ. თბილისის №10 საჯარო სკოლა, დირექტორი – ბელა ხუბუტია.**

### დიდუბე-ჩუღურეთი

**სსიპ - ქ. თბილისის №166 საჯარო სკოლა, დირექტორი – ირმა ომანაძე;**
**შპს - აიბი - „მთიები“, დირექტორი – ნინო ჩიკვაიძე;**
**შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარი“, დირექტორი – მაია ლაგვილავა;**
**სსიპ - ქ. თბილისის №116 საჯარო სკოლა, დირექტორი – დიმიტრი მეჭურჭლიშვილი.**

### ახალციხე

**სსიპ - ახალციხის №1 საჯარო სკოლა, დირექტორი – მარინე ჯანაშვილი;**
**სსიპ - ახალციხის №5 საჯარო სკოლა, დირექტორი – ჟენია მერაბიშვილი.**

### ბათუმი

**სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის №1 საჯარო სკოლა, დირექტორი – მედიკო გვენეტაძე;**
**სსიპ - ბათუმის №2 საჯარო სკოლა, დირექტორი – მარიზა აბაშიძე.**

### ფოთი

**სსიპ - ფოთის №1 საჯარო სკოლა, დირექტორი – ნონა ჟვანია.**

### რუსთავი

**სსიპ - ქ. რუსთავის №24 საჯარო სკოლა, დირექტორი – მარიამ ბარქაია;**
**სსიპ - ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლა, დირექტორი – ლალი ერქომაიშვილი;**
**სსიპ - ქ. რუსთავის №4 საჯარო სკოლა, დირექტორი – მამუკა ხამხაძე.**

### ოზურგეთი

**სსიპ - ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა, დირექტორი – ირინა ინარიძე.**

### ქუთაისი

**სსიპ - ა. რაზმაძის სახ. №41 საჯარო სკოლა, დირექტორი – გენადი მარგველაშვილი.**

### გორი

**სსიპ - გორის №3 საჯარო სკოლა, დირექტორი – ვახტანგ სუხიტაშვილი;**
**სსიპ - გორის №4 საჯარო სკოლა, დირექტორი – ირმა არჩუაძე.**

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის №60 საჯარო სკოლაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო სასწავლო ლაბორატორია გახსნა. ლაბორატორია სამი სრული კომპლექტისგან შედგება, თითოეულში, საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, 18 ქვეკომპლექტია გაერთიანებული.

თანამედროვე ლაბორატორიაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მოსწავლეებმა ცდები ჩაატარონ, კვლევები აწარმოონ და შედეგები აღრიცხონ. 60 სკოლის სასწავლო ლაბორატორიაში სპეციალური გამწოვი კაბინაცაა დამონტაჟებული, სადაც შესაძლებელია ისეთი ქიმიური რეაქციების ჩატარება, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებსა და შესაბამის გარემოს საჭიროებენ.

ტექნიკური დარგების განვითარებისა და სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დონის ამაღლების მიზნით, სამინისტრო პროგრამა „აინშტაინს“ ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, უკვე რამდენიმე ასეული სკოლა აღიჭურვა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის თანამედროვე ლაბორატორიებით. ეს პროცესი ახალი სასწავლო წლიდანაც გრძელდება და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ეტაპობრივად, ყველა საჯარო სკოლას გადაეცემა.

უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება. ამიერიდან, თითოეული მოსწავლე შეძლებს პრაქტიკულ მუშაობას, კვლევის ჩატარებას, მისი შედეგის აღრიცხვასა და გაანალიზებას, სათანადო დასკვნის გამოტანას.

სკოლების ლაბორატორიებით აღჭურვის პარალელურად, არაერთი პედაგოგი გადამზადდა. ახლად გახსნილ მასწავლებლის სახლში ამ ეტაპზეც მიმდინარეობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა გადამზადების პროცესი. პედაგოგები სწავლობენ თანამედროვე ხელსაწყოებთან და აპარატურასთან მუშაობას, მომავალში ეს მათ დაეხმარებათ, უფრო საინტერესო და სახალისო გახადონ საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების პროცესი.



მეთოდიკა

# კომპლექსური რიცხვები

*დასასრული.*
*დასაწყისი იხ. №30(545)*

### §5. კომპლექსური რიცხვის ჩაწერის ტრიგონომეტრიული ფორმა. ტრიგონომეტრიული ფორმით ჩაწერილი კომპლექსური რიცხვების გამრავლება და გაყოფა.

როგორც ზემოთ ვნახეთ: $a = r\cos\varphi, b = r\sin\varphi.$

ეს ფორმულები აკავშირებს კომპლექსური რიცხვის ნამდვილ და წარმოსახვით ნაწილებს მის მოდულთან და არგუმენტთან.

ყოველი $z = a + bi$ კომპლექსური რიცხვი ($z \neq 0$) შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$z = r(\cos\varphi + i\sin\varphi) \quad (1)$$

სადაც $r$ არის ამ რიცხვის მოდული, ხოლო $\varphi$ – მისი ერთ-ერთი არგუმენტი.

(1) ფორმულას ეწოდება კომპლექსური რიცხვის ჩაწერის ტრიგონომეტრიული ფორმა.

იმისათვის რომ ალგებრული ფორმიდან გადავიდეთ რიცხვის ჩაწერის ტრიგონომეტრიულ ფორმაზე, საკმარისია ვიპოვოთ ამ კომპლექსური რიცხვის მოდული და ერთ-ერთი არგუმენტი.

კომპლექსური რიცხვის ჩაწერის ტრიგონომეტრიული ფორმა ძალიან მოსახერხებელია გამრავლებისა და გაყოფის დროს.

შევნიშნოთ, რომ ორი კომპლექსური რიცხვი $z_1 = r_1(\cos\varphi_1 + i\sin\varphi_1)$ და $z_2 = r_2(\cos\varphi_2 + i\sin\varphi_2)$ ტოლია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $r_1 = r_2, \varphi_1 = \varphi_2 + 2\pi k, k \in Z$, ე. ი. როცა ამ რიცხვების მოდულები ტოლია, ხოლო არგუმენტები განსხვავებულია $2\pi k$-თი.

ჩავწეროთ ახლა ტრიგონომეტრიული ფორმით ნამრავლი:

$$z_1z_2 = r_1r_2(\cos\varphi_1\cos\varphi_2 - \sin\varphi_1\sin\varphi_2 + i\sin\varphi_1\cos\varphi_2 + i\cos\varphi_1\sin\varphi_2)$$

ან

$$z_1z_2 = r_1r_2(\cos(\varphi_1 + \varphi_2) + i\sin(\varphi_1 + \varphi_2))$$

ამრიგად, $|z_1z_2| = r_1r_2 \quad \arg(z_1z_2) = \varphi_1 + \varphi_2 + 2\pi k, \quad k \in Z.$

ე. ი. სამართლიანია შემდეგი წინადადება:

**ორი კომპლექსური რიცხვის ნამრავლის მოდული ტოლია ამ რიცხვების მოდულების ნამრავლის, ხოლო არგუმენტი – შესაკრებთა არგუმენტების ჯამის.**

განვიხილოთ რიცხვების გაყოფა.

ჩავწეროთ

$z_1 = r_1(\cos\varphi_1 + i\sin\varphi_1)$ და $z_2 = r_2(\cos\varphi_2 + i\sin\varphi_2)$ რიცხვების განაყოფი ტრიგონომეტრიული ფორმით.

$$\frac{z_1}{z_2} = \frac{r_1(\cos\varphi_1 + \sin\varphi_1)(\cos\varphi_2 - i\sin\varphi_2)}{r_2(\cos\varphi_2 + i\sin\varphi_2)(\cos\varphi_2 - i\sin\varphi_2)} =$$

$$= \frac{r_1}{r_2}(\cos(\varphi_1 - \varphi_2) + i\sin(\varphi_1 - \varphi_2))$$

ამრიგად, ორი კომპლექსური რიცხვის შეფარდების მოდული ამ რიცხვების მოდულების განაყოფის ტოლია, ხოლო არგუმენტი – გასაყოფისა და გამყოფის არგუმენტთა სხვაობის.

### § 6. ხარისხში აყვანა და ფესვის ამოღება

ორი კომპლექსური რიცხვის ნამრავლის ფორმულა შეიძლება განვაზოგადოთ $n$ თანამამრავლის შემთხვევაშიც. მათემატიკური ინდუქციის მეთოდით, ადვილად მიიღება შემდეგი შედეგი:

**$n$ კომპლექსური რიცხვის ნამრავლის მოდული ტოლია თანამამრავლთა მოდულების ნამრავლის, ხოლო თანამამრავლთა არგუმენტთა ჯამი წარმოადგენს ნამრავლის არგუმენტს.**

აქედან, როგორც კერძო შემთხვევა მიიღება ფორმულა:

$$(r(\cos\varphi + i\sin\varphi))^n = r^n(\cos n\varphi + i\sin n\varphi)$$

ეს ფორმულა გვაძლევს კომპლექსური რიცხვის მთელ ხარისხში აყვანის წესს:

**კომპლექსური რიცხვის ნატურალურმაჩვენებლიან ხარისხში აყვანისას მისი მოდული ადის იმავე მაჩვენებლიან ხარისხში, ხოლო არგუმენტი მრავლდება ხარისხის მაჩვენებელზე.**

გადავიდეთ კომპლექსური რიცხვიდან მოცემული ხარისხის ფესვის ამოღებაზე.

$n$-ური ხარისხის ფესვი $\omega$ რიცხვიდან ეწოდება ისეთ $z$ რიცხვს, რომლის $n$-ური ხარისხი $\omega$-ს ტოლია. $z = \sqrt[n]{\omega}, z^n = \omega$

მაგალითად, კვადრატული ფესვი -1-დან არის რიცხვები $i$ და $-i$, რადგან მათი კვადრატები -1-ის ტოლია.

განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ $z^n = \omega$ განტოლების ყოველი ამონახსნი წარმოადგენს $n$-ური ხარისხის ფესვს $\omega$ რიცხვიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ ამოვიღოთ $n$-ური ხარისხის ფესვი $\omega$ რიცხვიდან, საკმარისია ამოვხსნათ $z^n = \omega$ განტოლება.

როცა $\omega$ =0, მაშინ $z^n = \omega$ განტოლებას ერთადერთი $z = 0$ ამონახსენი აქვს. როცა $\omega \neq 0$, მაშინ $z \neq 0$.

ამრიგად, $z$ და $\omega$ შეიძლება წარმოვადგინოთ ტრიგონომეტრიული ფორმით:

$$z = r(\cos\varphi + i\sin\varphi), \quad \omega = \rho(\cos\alpha + i\sin\alpha)$$

$z^n = \omega$ განტოლება მიიღებს სახეს

$$r^n(\cos n\varphi + \sin n\varphi) = \rho(\cos\alpha + \sin\alpha).$$

ორი კომპლექსური რიცხვი ტოლია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ტოილი აქვთ მოდულები, ხოლო არგუმენტები განსხვავდება $2\pi k$-თი, სადაც $k$ რომელიღაცა მთელი რიცხვია. შესაბამისად,

$r^n = \rho, n\varphi = \alpha + 2\pi k.$ ანუ

$$r = \sqrt[n]{\rho} \text{ და } \varphi = \frac{\alpha}{n} + \frac{2\pi}{n}k, k \in Z.$$

ამრიგად, $z^n = \omega$ განტოლების ყველა ამონახსნი შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$z_k = \sqrt[n]{\rho}\left(\cos\left(\frac{\alpha}{n} + \frac{2\pi}{n}k\right) + i\sin\left(\frac{\alpha}{n} + \frac{2\pi}{n}\right)\right), \quad k \in Z.$$

ადვილი საჩვენებელია, რომ, როცა $k = 0,1,2,\ldots,n-1$ ყველა $z_k$ განსხვავებულია. თუ ავიღებთ $k \geq n$, მაშინ მივიღებთ იმავე $n$ კომპლექსურ რიცხვებს.

ე.ი. $\omega \neq 0$-თვის არსებობს ზუსტად $n$ რაოდენობის $n$-ური ხარისხის ფესვი $\omega$ რიცხვიდან. ყველა ეს ფესვი მიიღება შემდეგი ფორმულიდან

$$z_k = \sqrt[n]{\rho}\left(\cos\left(\frac{\alpha}{n} + \frac{2\pi}{n}k\right) + i\sin\left(\frac{\alpha}{n} + \frac{2\pi}{n}\right)\right),$$

$$k = 0,1,2,\ldots,n-1 \quad (1)$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ ყველა ფესვს აქვს ერთნაირი მოდულები, ხოლო არგუმენტები განსხვავებული – $\frac{2\pi}{n}k$-თი, სადაც $k$ რომელიღაც მთელი რიცხვია.

აქედან გამომდინარეობს, რომ $\omega$ რიცხვიდან $n$-ური ხარისხის ფესვების შესაბამისი წერტილები სიბრტყეზე წარმოადგენენ იმ წესიერი $n$-კუთხედის წვეროებს, რომელიც ჩახაზულია წრეწირში რადიუსით $\sqrt[n]{\rho}$ და ცენტრით საკოორდინატო სიბრტყის სათავეში.

გავაკეთოთ კიდევ ერთი შენიშვნა $\sqrt[n]{\omega}$ აღნიშვნის შესახებ. ჩვეულებრივ $\sqrt[n]{\omega}$ სიმბოლოში იგულისხმება ყველა $n$-ური ხარისხის ფესვი $\omega$ რიცხვიდან. მაგალითად, $\sqrt{-1}$-ის ქვეშ იგულისხმება სიმრავლე, რომელიც შედგება ორი რიცხვისაგან: $i$ და $-i$. ხანდახან $\sqrt[n]{\omega}$-ს განიხილავენ, როგორც ერთ რომელიღაც ფესვს. ამ შემთხვევაში აუცილებელია მივუთითოთ რომელ ფესვზეა საუბარი.

### § 7. ალგებრული განტოლებები

განვიხილოთ $n$-ური ხარისხის განტოლება კომპლექსური კოეფიციენტებით:

$$a_nz^n + a_{n-1}z^{n-1} + \ldots + a_1z + z_0 = 0, \quad a_n \neq 0, n \in N. \quad (1)$$

$z_0$ რიცხვს ეწოდება განტოლების ამონახსენი ანუ ფესვი, თუ განტოლებაში $z$-ის ნაცვლად $z_0$-ის ჩასმით მიიღება სწორი რიცხვითი ტოლობა.

მაგალითად, შემდეგი განტოლებები:

$z + 1 - i = 0$

$z^2 - 1 = 0$

$z^5 + z^3 + iz^2 + i = 0$

$iz^7 + 32(1-i)z = 0$

წარმოადგენენ შესაბამისად პირველი, მეორე, მეხუთე და მეშვიდე ხარისხის ალგებრულ განტოლებებს.

პირველი განტოლების ფესვია – 1+$i$ მეორესი – 1 და -1, მესამესი – $i$, ცხადია, რომ 0 არის მეოთხე განტოლების ფესვი, გარდა 0-სა ამ განტოლებას, როგორც შემდეგში ვნახავთ, ექნება კიდევ ექვსი ფესვი.

ამოვხსნათ განტოლება კომპლექსურ რიცხვთა სიმრავლეში – ნიშნავს ვიპოვოთ ამ განტოლების ყველა ფესვი.

პირველი ხარისხის ალგებრული განტოლების ზოგადი სახეა:

$$a_1z + a_0 = 0, \quad a_1 \neq 0.$$

ასეთ განტოლებას ცხადია აქვს ერთი და მხოლოდ ერთი ამონახსენი $z_0 = -\frac{a_0}{a_1}.$

მეორე ხარისხის განტოლების ზოგადი სახეა:

$$a_2z^2 + a_1z + a_0 = 0, \quad a_2 \neq 0$$

მარცხენა მხარის გარდაქმნით მიიღება:

$$z = \frac{-a_1 + \sqrt{D}}{2a_2}, \quad \text{სადაც} \quad D = a_1^2 - 4a_0a_2$$

ამ ფორმულას ისეთივე სახე აქვს, როგორიც ნამდვილი კოეფიციენტების შემთხვევაში, მაგრამ რადგან კომპლექსურ რიცხვთა სიმრავლეში კვადრატულ ფესვს ყოველთვის აქვს აზრი, $D \geq 0$ შეზღუდვა ძალას კარგავს, უფრო მეტიც, დისკრიმინანტი შეიძლება აღმოჩნდეს კომპლექსური რიცხვი, ხოლო ამ რიცხვებისთვის მეტობა-ნაკლებობის ცნება საერთოდ არაა განსაზღვრული.

გადავიდეთ $n \geq 3$-ის შემთხვევაში (1) განტოლების ამონახსნთა განხილვაზე.

1799 წელს უდიდესი მათემატიკოსის კარლ გაუსის მიერ დამტკიცებული იქნა შემდეგი თეორემა:

ნებისმიერ ალგებრულ განტოლებას კომპლექსურ რიცხვთა სიმრავლეში აქვს ერთი მაინც ფესვი.

ამ თეორემას უწოდებენ ალგებრის ძირითად თეორემას.

გაუსის თეორემაზე დაყრდნობით ადვილად მტკიცდება, რომ (1) განტოლების მარცხენა მხარე შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$a_n(z - z_1)^{\alpha_1}(z - z_2)^{\alpha_2}\ldots(z - z_k)^{\alpha_k},$$

სადაც $z_1, z_2, \ldots, z_k$ რომელიღაც კომპლექსური რიცხვებია, ხოლო $\alpha_1, \alpha_2, \ldots, \alpha_k$ ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომელთა ჯამი $n$-ის ტოლია. აქედან ჩანს, რომ მხოლოდ და მხოლოდ $z_1, z_2, \ldots, z_k$ რიცხვები იქნებიან (1) განტოლების ამონახსნები. თუ შევთანხმდებით, რომ ამონახსნს ჩავთვლით იმდენჯერ, რა ჯერადობაც აქვს, მივიღებთ გაუსის თეორემის შემდეგ ფორმულირებას:

**ყოველ $n$ ხარისხის ალგებრულ განტოლებას კომპლექსურ რიცხვთა სიმრავლეში გააჩნია ზუსტად $n$ ფესვი.**

თუ პირველი და მეორე ხარისხის განტოლებათა ფესვების პოვნა საკმაოდ ადვილია, სამაგიეროდ მესამე და მეოთხე ხარისხისთვის ფესვთა ფორმულები საკმაოდ რთულია და მათი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, ხოლო მეოთხე ხარისხზე ზევით მსგავსი ფორმულები საერთოდ არ არსებობს.

კერძო შემთხვევაში, განტოლების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ამოიხსნას მაღალი ხარისხის განტოლებებიც.

მაგალითად, (1) ფორმულა მეექვსე პარაგრაფიდან საშუალებას გვაძლევს ამოვხსნათ შემდეგი განტოლება $a_nz^n + a_0 = 0.$

მთელკოეფიციენტებიანი განტოლების ამოსახსნელად ხშირად სასარგებლოა შემდეგი თეორემა:

**მთელკოეფიციენტებიანი ალგებრული განტოლების ამონახსნები წარმოადგენს თავისუფალი წევრის გამყოფებს.**

ამ თეორემის დამტკიცება საკმაოდ ადვილია. ვთქვათ, $z = k$ მთელკოეფიციენტებიანი განტოლების მთელი ფესვია, მაშინ $a_nk^n + a_{n-1}z^{n-1} + \ldots + a_1k + a_0 = 0$ აქედან $a_0 = -k(a_nk^{n-1} + \ldots + a_1)$, რაც ნიშნავს, რომ $k$ რიცხვი არის $a_0$-ის გამყოფი.

**ახლა მინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე სავარჯიშო, რომლის მსგავსი სავარჯიშოების ამოხსნასაც წარმოგიდგენთ შემდეგ ნომერში**

1. გამოთვალეთ: ა) $(2+i)(5-i)+(3+2i)(7+5i)$

   ბ) $(3+i)^2-(2+i)^2$

2. შემდეგი კომპლექსური რიცხვები წარმოადგინეთ ტრიგონომეტრიული სახით:

   ა) -2; ბ) 1+$i$ ; გ) -1-$i$ ; დ) 1-$i\sqrt{3}$.

3. თუ $z = a + bi$, სადაც, $a = -3, b = 5$ მაშინ $z \cdot \bar{z} = ?$

4. გამოთვალეთ: ა) $i^{2012}$, ბ) $(1+i)^2$.

5. შეასრულეთ მოქმედებები:

   ა) $\frac{\cos 130 + i\sin 130}{\cos 40 + i\sin 40}$ ბ) $(\cos 20 + i\sin 20)(\cos 70 + i\sin 70)$

6. თქვენი აზრით შესაძლებელია თუ არა, რომ ნამდვილკოეფიციენტებიანი კვადრატული განტოლების ფესვები იყოს $2+3i$ და $1-i$?

7. ამოხსენით განტოლება: $x^2 + x + 1 = 0$

8. სიბრტყის რომელ წერტილთა სიმრავლე მოიცემა შემდეგი პირობით: $|z - i| = 2$

*მაია თევდორაშვილი*
*აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური №42 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი*

მეთოდიკა

# ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

**ვაგრძელებთ ამოცანების და მათი ამოხსნების გამოქვეყნებას კინემატიკის საფუძვლებიდან:**

### ამოცანა 5.

ჰორიზონტისადმი α კუთხით დახრილ სიბრტყეზე მოთავსებულია მცირე ზომის სხეული (იხ. სურ.1) რა სიდიდის ჰორიზონტალური აჩქარება უნდა მივანიჭოთ დახრილ სიბრტყეს, რომ სხეული თავისუფალი ვარდნის აჩქარებით ამოძრავდეს ვერტიკალურად ქვევით?



სურ.1

**ამოხსნა:**

თავისუფალი ვარდნისას სხეული ვერტიკალური მიმართულებით გაივლის მანძილს:

$$s_1 = \frac{gt^2}{2},$$

იმავე დროში დახრილი სიბრტყე გაივლის

$s_2 = \frac{at^2}{2}$ მანძილს. ე.ი. $\frac{s_1}{s_2} = \frac{g}{a} = tg\alpha$,




სურ.2

საბოლოოდ,

$$a = \frac{g}{tg\alpha}$$

### ამოცანა 6.

სწორ, ჰორიზონტალურ ზედაპირზე 10 მ/წმ სიჩქარით მოძრავი მცირე ზომის ბურთულა ვარდება 1 მ სიღრმის და 5 სმ, დიამეტრის ორმოში. რამდენჯერ შეეჯახება ვარდნის პროცესში ბურთულა ორმოს კედლებს (ჩავთვალოთ, რომ დაჯახება დრეკადია)?

**ამოხსნა:**

h=1 მ სიმაღლიდან v=10 მ/წმ სიჩქარით ჰორიზონტალურად გასროლილი ბურთულა ამ მიმართულებით გადაადგილდება s=vt მანძილით, სადაც t ბურთულის მოძრაობის დროა. რადგან ბურთულის ორმოს კედლებთან დაჯახება დრეკადია, იმავე ჰორიზონტალურ მანძილს (და არა სრულ მანძილს) გაივლის ბურთულა ვარდნისას ორმოს ფსკერზე დაცემამდე, ამიტომ შეიძლება დავწეროთ, რომ s=nd, სადაც n ორმოს კედლებთან ბურთულას დაჯახებების რიცხვია, d - ორმოს დიამეტრი. ვერტიკალური მიმართულებით იმავე დროში ბურთულის გადაადგილება

$$h = \frac{gt^2}{2}$$

საიდანაც

$$t = \sqrt{\frac{2h}{g}} \approx 0{,}45 \text{ წმ.}$$

ვიცით, რომ s=vt= nd. აქედან

$$n = \frac{vt}{d} = \frac{10 \cdot 0{,}45}{0{,}05} = 90$$

### ამოცანა 7

დისკოს კიდური წერტილების სიჩქარე $v_1 = 4{,}28$ მ/წმ-ს, მისგან $r = 10$ სმ-ით დაშორებული წერტილების - $v_2 = 1{,}14$ მ/წმ. რას უდრის დისკოს ბრუნვის სიხშირე?

**ამოხსნა:**

$v_1 = 2\pi Rn, \quad v_2 = 2\pi(R-r)n,$ სადაც R დისკოს რადიუსია, n კი მისი ბრუნვის სიხშირე. თუ პირველ ფორმულას მეორეს გამოვაკლებთ, მივიღებთ:

$v_1 - v_2 = 2\pi rn$, საიდანაც:

$$n = \frac{v_1 - v_2}{2\pi r} = 5 \text{ ბრ/წმ.}$$

### ამოცანა 8

მატარებელი შედის $R = 1$კმ სიმრუდის რადიუსის მოსახვევში $v_0 = 72$ კმ/სთ საწყისი სიჩქარით და თანაბარაჩქარებულად გადის s=500 მ მანძილს t=20 წმ-ში. ვიპოვოთ მატარებლის სიჩქარე და სრული აჩქარება მოსახვევის ბოლოში.

**ამოხსნა:**

მოსახვევში მატარებლის მიერ გავლილი მანძილი ტოლია

$$s = v_0 t + \frac{a_\tau t^2}{2}$$

სადაც $a_\tau$ - მხები აჩქარებაა. განვსაზღვროთ ეს აჩქარება ამ ფორმულიდან:

$$a_\tau = \frac{2(s - v_0 t)}{t^2} = 0{,}5 \text{ მ/წმ}^2.$$

ახლა გავიგოთ მატარებლის სიჩქარე:

$v = v_0 + a_\tau t = 20 + 0{,}5 \cdot 20 = 30$ მ/წმ.

მოსახვევში მოძრაობისას მატარებლის ცენტრისკენული აჩქარება ტოლი იქნება:

$$a = \frac{v^2}{R} = \frac{400}{1000} = 0{,}4 \text{ მ/წმ}^2.$$

სრულ აჩქარებას გამოვიანგარიშებთ ფორმულით:

$$a = \sqrt{0{,}5^2 + 0{,}4^2} \approx 0{,}64 \text{ მ/წმ}^2.$$

## ურთიერთქმედება მექანიკაში (დინამიკა):

### ამოცანა 9

ჰორიზონტისადმი α =30° კუთხით დახრილ ყინულის მთაზე აასრიალეს ქვა, რომელმაც $t_1$=2 წმ-ის განმავლობაში გაიარა s=16 მ მანძილი და უკან ჩამოსრიალდა. რა დრო დასჭირდა ქვის უკან ჩამოსრიალებას? რას უდრის ქვასა და მთის ზედაპირს შორის ხახუნის კოეფიციენტი?

**ამოხსნა:**

როგორც ზევით, ასევე ქვევით მოძრაობისას ქვაზე მოქმედებს სიმძიმის $(\vec{mg})$, საყრდენის ნორმალური რეაქციის $(\vec{N})$ და ხახუნის $(\vec{F_ხ})$ ძალები (იხ. სურ.1,2).




სურ.1




სურ.2

მთაზე ასრიალების შემთხვევისთვის ნიუტონის მეორე კანონით გამოსახულ ქვის მოძრაობის განტოლებებს X და Y ღერძების გასწვრივ შემდეგი სახე ექნება:

ზემოთ ასრიალებისას:

$$mg\sin\alpha + F_ხ = ma_1, \quad N - mg\cos\alpha = 0;$$

ქვემოთ ჩამოსრიალებისას

$$mg\sin\alpha - F_ხ = ma_2, \quad N - mg\cos\alpha = 0.$$

აქედან

$$F_ხ = \mu N = \mu mg\cos\alpha,$$

ამ სიდიდეების ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$g\sin\alpha + \mu g\cos\alpha = a_1$ და $g\sin\alpha - \mu g\cos\alpha = a_2$

მეორე მხრივ,

$$a_1 = \frac{2s}{t_1^2}, \quad a_2 = \frac{2s}{t_2^2}$$

სადაც $a_1$ არის ასრიალების, $a_2$ კი - ჩამოსრიალების აჩქარება, μ -ხახუნის კოეფიციენტი,

$t_2$- ჩამოსრიალების დრო. $a_1$ და $a_2$-ის მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$g\sin\alpha + \mu g\cos\alpha = \frac{2s}{t_1^2} \quad (1)$$

$$g\sin\alpha - \mu g\cos\alpha = \frac{2s}{t_2^2} \quad (2)$$

(1) -დან გამოვთვალოთ

$$\mu = \frac{2s - gt_1^2\sin\alpha}{gt_1^2\cos\alpha} \approx \frac{32-20}{10 \cdot 4 \cdot 0{,}87} = 0{,}34$$

(2)- დან გავიგებთ $t_2$-ს:

$$t_2 = \sqrt{\frac{2s}{g(\sin\alpha - \mu\cos\alpha)}} = 4 \text{ წმ.}$$

ამ ფორმულიდან ჩანს რომ, იმ შემთხვევაში, თუ μ≥tgα, ქვა საერთოდ არ ჩამოსრიალდება უკან.

ინფორმაცია

# ახალგორელი ბავშვები სტუმრად ხელოვნების სასახლეში

16 ოქტომბერს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, ცნობილი ქართველი მომღერალი, თურქეთელი ჩვენებური ბაიარ შაჰინი, ახალგორიდან ჩამოსულ ბავშვებს შეხვდა. ჩამოსულთა შორის იყვნენ რუსეთ-საქართველოს ომში დაზარალებული როგორც ქართველი, ისე ოსი ბავშვები. მომღერალი სტუმრებს საკუთარი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მოუყვა, გააცნო ჩვენებურთა ფოლკლორის თავისებურებები და ტრადიციები. გაიმართა საინტერესო დისკუსია, შეხვედრის დასასრულს ბაიარ შაჰინ-გუნდარიძემ და ბავშვებმა ერთად შეასრულეს რამდენიმე ქართული სიმღერა.

**გიორგი კალანდია**, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი: *„ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც თურქეთელი ქართველი ხვდება დღევანდელ დევნილებს და საქართველოს სიყვარულსა და პატივისცემას უღვივებს, ეს ქართველობის განცდა საზღვარს იქით და საზღვარს აქეთ ერნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის“.*



# საიუბილეო ზეიმი მესხეთში



შესანიშნავი, მზიანი დღე გათენდა მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, საქართველოს ერთ-ერთ კურთხეულ მხარეში – მესხეთში. თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობდა თანამემამულეთა მადლიერებას ახალციხის პირველი საჯარო სკოლისადმი, რომელსაც დაარსებიდან 180 წელი შეუსრულდა. მესხებმა ზეიმს დაუკავშირეს ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებაც.

საიუბილეო საღამოზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, მათ შორის იყვნენ როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკური უკლესიების წარმომადგენლები და მრევლი.

ღონისძიება პირველ საჯარო სკოლაში დაიწყო და ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში გაგრძელდა სამეცნიერო კონფერენციის სახით, ხოლო ახალციხის თეატრში დასრულდა შესანიშნავი კონცერტით.

ახალციხის თითქმის ორსაუკუნოვანი საჯარო სკოლის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ისაუბრეს: მისმა დირექტორმა **ეკა ჯანაშვილმა**, ყოფილმა დირექტორმა **გიორგი ივანიძემ** და ღვაწლმოსილმა პედაგოგმა **მედეა ჟღენტმა**.

დამსწრეთ მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე**, რომელმაც სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გელა დემეტრაძემ**; სასულიერო პირებმა – **მეუფე თევდორემ**, ეპისკოპოსმა **ჯუზეპე პაზოტომ**; ახალციხის №5 საჯარო სკოლის დირექტორმა **ევგენია მერაბიშვილმა**; ახალციხის №6 საჯარო სკოლის დირექტორმა **ზაზა თამარაშვილმა**; პროფესორმა **მურმან პაპაშვილმა** და სხვებმა.



ზეიმის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა საპატიო სტუმარი, ასოციაცია „მესხეთი-2001"-ის პრეზიდენტი, თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ამირან მექვაბიშვილი**, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა მესხეთში და არაერთი სასიკეთო საქმე მიიყვანა ბოლომდე.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო საიუბილეო საღამოს ორგანიზატორებს: სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციას, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ახალციხის №1 საჯარო სკოლის დირექციას, ახალციხის უნივერსიტეტის რექტორატს, საიუბილეო-საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს, რომელთაც ძალ-ღონე არ დაიშურეს ამ შესანიშნავი ზეიმის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

***ლია ხმალაძე***
*ასოციაცია „მესხეთი-2001"-ის გამგეობის წევრი*

# წარმატებული პედაგოგი

***მარინა შანშიაშვილი***

*დაიბადა 1974 წელს. დედა – პედაგოგი, მამა – მშენებელი ინჟინერი.*

*1992 წელს წარმატებით დაამთავრა დედოფლისწყაროს მეორე საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტზე.*

*1997 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში.*

*2010-2011 წწ. წარმატებით ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდები*



განათლების სამინისტროს კიდევ ერთი პროექტი განხორციელდა წარმატებით. სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების მიხედვით საუკეთესო 25%-ში შესულ წარმატებულ პედაგოგებს დაენიშნა ხელფასი 1000 ლარის ოდენობით. პედაგოგების ღვაწლიც სათანადოდ დაფასდა და სკოლასაც პრიორიტეტი დაუბრუნდა.

საუკეთესო სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის პედაგოგს **მარინა შანშიაშვილს**, რომელმაც წარმატებით გაიარა სერტიფიცირებული მასწავლებლის ყველა გამოცდა. 2010 წელს, როდესაც პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა დაინიშნა, ბევრმა პედაგოგმა თავი შეიკავა და გამოცდაზე არ გავიდა, მარინასთვის კი ეს მშვენიერი შანსი გამოდგა იმისათვის, რომ პროფესიული თვალსაზრისით საკუთარ ცოდნაში დარწმუნებულიყო. წელს ზოგადი უნარების და კომპიუტერის გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა და დედოფლისწყაროს ერთ-ერთი წარმატებული პედაგოგი გახდა.

5 ოქტომბერს, საქართველოს ყველა წარმატებულ პედაგოგთან ერთად, მარინა შანშიაშვილი მიწვეული იყო მასწავლებლის სახლის გახსნაზე, საიდანაც დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა.

ამ დღეებში კი, კერძოდ 14 ოქტომბერს, მარინას პაპა, **ნიკოლოზ შანშიაშვილი** გაზეთ „საქართველოს ლირიკის" თაოსნობით დაწესებულ ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში „მეტრი" გამოვლინდა გამარჯვებულ ნომინანტად. როგორც თავად მარინა ამბობს, ეს ნომინაცია 70 წლის გადაცილებულ ცნობილ პიროვნებებს ენიჭებათ. ძალიან ეამაყება მისი პაპა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობას მიუძღვნა, „მეტრის" ნომინანტად რომ დასახელდა ხუთ ცნობილ ნომინანტს შორის: **აბრამ ხარაშვილი, სპარტაკ ლაპიაშვილი, ჯუმბერ უთრუთაშვილი, ვახუშტი ქიზიყურაშვილი**.

სწორედ პაპამ ჩაუნერგა მარინას ბავშვობიდანვე, რომ ცოდნისა და შრომის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

***მარიკა პოპიაშვილი***

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და შსს აკადემიის რექტორმა ხატია დეკანოიძემ თბილისის 157-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელებს ახალი წიგნი „ჩემი უფლებები და მოვალეობები" წარუდგინეს. წიგნი გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის მიერ მომზადდა და 14-18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვისაა განკუთვნილი.

წიგნის მიზანს წარმოადგენს 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა პრევენცია, მათი ცნობიერების ამაღლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე მათ მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

წიგნში, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, პოპულარულ ენაზე და პრაქტიკული მაგალითების თანხლებით, გადმოცემულია, რა უფლებები და მოვალეობები წარმოექმნებათ მოზარდებს გარკვეული ასაკის მიღწევისას, როგორ იცავს კანონი მათ უფლებებს ხელყოფისაგან და როგორია მათი პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისას. ასევე გამახვილებულია ყურადღება არასრულწლოვანთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულ სამართალდარღვევებზე.

წიგნში შეტანილია უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც ეხება არასრულწლოვნებს.

წიგნის გამოცემა განხორციელდა გეოპოლიტიკური კვლევების საერთშორისო ცენტრის პროექტის „სკოლის მოსწავლეთა – არასრულწლოვანთა უფლებები და მოვალეობები" ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ ქვემო ქართლის საჯარო სკოლების 70-მდე მეათეკლასელ მოსწავლეს პერსონალური კომპიუტერები – Lenovo გადასცეს. კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ მოსწავლეები, რომლებმაც 2010-2011 სასწავლო წელს საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს.

ღონისძიება რუსთავქალაქობის ფარგლებში რუსთავის განახლებულ თეატრში გაიმართა და მას ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა. ამავე დღეს, მინისტრის პირველმა მოადგილემ და გუბერნატორმა წარჩინებული მოსწავლეები სპექტაკლის პრემიერაზე მიიწვიეს. რუსთავის თეატრში სეზონი გრიგოლ რობაქიძის მოთხრობა „ლამარას" მიხედვით დადგმული სპექტაკლით „გველისმჭამელი" გაიხსნა.

საქართველოს მასშტაბით, წარჩინებულ მოსწავლეთა პორტატული კომპიუტერებით დასაჩუქრების პროექტი რამდენიმე წელია ხორციელდება და წელს პირველად, მოსწავლეებს საქართველოში დამზადებული კომპიუტერები გადაეცათ.

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და სამინისტროს მხრიდან ყველა ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოზარდი იქნება წახალისებული.

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაარსებული პროფესიული კოლეჯი გახსნეს.

პროფესიული კოლეჯი საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს" საქმიანობიდან გამომდინარე შეიქმნა. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ფონდი რამდენიმე წელია, პროფესიულ სახელობო პროგრამებს სოციალურად დაუცველ მოზარდებს ასწავლის.

2010 წელს, მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით, წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის საგანმანათლებლო პროფესიული კოლეჯი დაარსდა და ამით ფონდის საქმიანობა სახელმწიფოს ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში მოექცა. 2011 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, სასწავლებელს ავტორიზებული კოლეჯის სტატუსი მიენიჭა.

პროფესიული კოლეჯი, ახალი სასწავლო წლიდან, ახალ შენობაში გააგრძელებს ფუნქციონირებას. კოლეჯი სამინისტროს მიერ აღიარებულ შემდეგ პროფესიულ მიმართულებებს ახორციელებს: ოფისის მენეჯერი, მასაჟისტი, კორესპონდენტი, ექთნის თანაშემწე (მომვლელი, ძიძა, გერიატრი), ბუღალტერი, გიდი, მემინანქრე.

* * *

ლენტეხის რაიონის სოფელ ჟახუნდერში ახალი სკოლა აშენდა.

100 ბავშვზე გათვლილი ახალი სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა აღჭურვილი. პროგრამა „აინშტაინის" ფარგლებში მოწყობილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; სკოლაში ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი და ბიბლიოთეკა.

სკოლის ძველი შენობა გასული საუკუნის 30-იან წლებში იყო აშენებული და ერთ-ერთ პირველ საგანმანათლებლო კერად ითვლებოდა მესტიასა და ლენტეხში. ამ სკოლაში ოთხი აკადემიკოსი და 20-მდე პროფესორი აღიზარდა.

დროთა განმავლობაში, სიძველის გამო, სკოლა ავარიული გახდა და რამდენიმე წლის განმავლობაში ბავშვებს სწავლა არაკომფორტულ გარემოში უხდებოდათ. სამინისტრომ გაითვალისწინა სოფლის მოსახლეობის სურვილი და, უკვე ახალი სასწავლო წლიდან, სოფლის მოზარდები თანამედროვე, კომფორტულ გარემოში აგრძელებენ სწავლას.

საგანმანათლებლო კერა

# ფოთის სახალხო განათლების ისტორიიდან

## XIX ს-ის მეორე ნახევარი – XX ს-ის დასაწყისი



ფოთის ვაჟთა გიმნაზიის შენობა, ამჟამინდელი მეორე სკოლა



ფოთის ექვსკლასიანი სასწავლებელი



ფოთის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგთა კოლექტივი, 1912 წ.



ფოთის ქალთა გიმნაზიის 1911 წლის კურსდამთავრებულები



ფოთის ექვსკლასიანი სასწავლებელი

მას შემდეგ, რაც იმპერატორ ალექსანდრე მეორის 1858 წლის 18 ნოემბრის ბრძანებით, ფოთი საპორტო ქალაქად გამოცხადდა, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, თავისთავად გაჩნდა მოზარდი თაობის განათლების საკითხების მოგვარების მოთხოვნილება და აუცილებლობა. რაკი სკოლების გახსნა ფინანსურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული სასწავლო დაწესებულებების ფორმირება საპორტო ქალაქში ვერ ხერხდებოდა. ფოთის მესვეურთ, დაწყებითი სკოლის გახსნის თაობაზე თხოვნით, 1864 წელსაც მიუმართავთ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის, მაგრამ უშედეგოდ. პირველი დაწყებითი სასწავლებელი ქალაქში მხოლოდ 1868 წელს გახსნილა, რომლის ბაზაზეც, მოგვიანებით, 1870 წელს ვაჟთა სამაზრო სკოლა დაარსებულა. იმავე წელს, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და კერძო პირთა მიერ შემოწირულობებით, ოდესიდან ჩამოსულ ვინმე ციბულსკაიას გაუხსნია კერძო ქალთა სასწავლებელიც. თუმცა, ორთავე საგანმანათლებლო დაწესებულებას უსახსრობის გამო მალე შეუწყვეტია არსებობა.

თავისი საქმიანობის ხანგრძლივი ისტორიითა და სწავლების მაღალი დონით ცნობილი იყო ფოთის ოთხკლასიანი საქალაქო სკოლა, რომელიც 1879 წლის თებერვალში დაარსდა. სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ მოზარდებს გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში უგამოცდოდ იღებდნენ. ამ პერიოდისათვის მთელ ქალაქში ეს იყო ერთადერთი საგანმანათლებლო კერა. აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას, სწავლის მცირე გადასახადის ოდენობისგან გამომდინარე, ღარიბთა სკოლადაც მოიხსენიებდნენ. თუმცა, მატერიალური სიდუხჭირის გამო, მრავალი აღსაზრდელი მაინც ვერ ახერხებდა სასწავლო პროცესის დამთავრებას. სკოლას თავისი მოსამზადებელი ჯგუფიც ჰქონდა. 1896 წელს ოთხკლასიანი სკოლა ექვსკლასიან საგანმანათლებლო კერად გადაკეთდა და ფართოდ გაითქვა სახელი. იგი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო და სადურგლო განყოფილებები, მებაღეობა-მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, სახარატო-საზეინკლო და სხვა ჯგუფები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1900 წელს სასწავლებლის სამეურნეო განყოფილების მოსწავლეებმა, პარიზში მოწყობილ გამოფენაზე, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. აღსაზრდელთა სწავლის ქირიდან მიღებული შემოსავლების გარდა, სკოლას სახაზინო ბიუჯეტიდან და ქალაქის თვითმმართველობის სახსრებიდანაც, ყოველწლიურად, ეძლეოდა ფულადი დახმარება, თუმცა სწავლების ნორმალური ფუნქციონირებისათვის არც ეს იყო საკმარისი, ამიტომაც სასწავლებლის შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ შემოწირულობებს და საქველმოქმედო საქმიანობას. ნიკო ნიკოლაძის უდიდესი მცდელობით, 1904 წელს, ფოთში ექვსკლასიანი სასწავლებლისთვის ორსართულიანი ქვის შენობა აიგო. ბევრ დადებით მხარესთან ერთად ფოთის საქალაქო სკოლასაც (როგორც იმ ხანად არსებულ საქართველოს სხვა სასწავლებლებს) ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი – ახალგაზრდობა მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალებას. ფოთის მოწინავე საზოგადოებაც გულისტკივილით განიცდიდა ეროვნული ჩაგვრის ამ აშკარა გამოვლინებას და სკოლიდან უკანონოდ განდევნილი ქართული ენის უფლებების აღდგენას მოითხოვდა. მეფის რუსეთი, ხალხის სამართლიანი გულისტკივილის საპირისპიროდ, უფრო გაქნილ პოლიტიკას ატარებდა. 1887-1899 წლებში ისინი, სლავურის საფუძველზე, ოფიციალურად შეუდგნენ მეგრულისა და სვანური ანბანების შედგენას. შეიქმნა პირველი სახელმძღვანელოები სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებისათვის, ასევე, საეკლესიო სამლოცველო კრებულები. ცარიზმის ერთგულმა მოხელეებმა განათლების სისტემაში მიმდინარე ამ ბილწ „რეფორმაში" ჩაითრიეს გადაგვარების გზაზე დამდგარი პედაგოგი თ. აშორდია. სკოლებიდან ქართული ენის განდევნის წინააღმდეგ დაწყებულ საერთო სახალხო ბრძოლას ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, ხმა შეუერთა ფოთის ინტელიგენციამაც. „ივერიაში" („ივერია", 1887 წ., №39) სპეციალური სტატიით „კაი ხუმრობა" გამოვიდა ნ. დადიანი, რომელსაც მოჰყვა ი. მეუნარგიას, ნ ჯანაშიას, პ. ქარაიას, თ. სახოკიას და სხვა ფოთელ მოღვაწეთა წერილებიც. მეტიც, 1893 წლის 8 მაისს, ფოთში ინსპექტირებაზე ჩამოსულ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ სწავლების ქართულ ენაზე დაწყება კატეგორიულად მოსთხოვა, თუმცა უშედეგოდ.

1879 წელს, ფოთში, მიხაილოვის სანაოსნო სკოლა გაიხსნა, რომელიც შავი და აზოვის ზღვების კომერციული გემებისთვის შკიპერებსა და მესაჭეებს ამზადებდა. ეს იყო ერთადერთი უფასო სასწავლებელი იმდროინდელ საპორტო ქალაქში, რომელიც ქალაქისავე შემოსავლებიდან ფინანსდებოდა, წლიურად 600 მანეთის ოდენობით. სანაოსნო სწავლების ხანგრძლივობა 4 თვეს გრძელდებოდა, დანარჩენ 8 თვეს შეგირდები იალქნიან და ორთქლმავალ გემებზე გადიოდენ პრაქტიკას. 1903 წელს ფოთის ერთწლიანი სასწავლებელი ორკლასიან საზღვაო სკოლად გადაკეთებულა. 1880 წლიდან აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას სათავეში ედგა ხერსონის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის კურსდამთავრებული თეოფილე მიხეილის ძე ლესნიცკი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალი იყო და დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდობისთვის საზღვაო საქმის საფუძვლიანად შესწავლის საქმეში.

XIX საუკუნის მიწურულს, ფოთში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჭრა-კერვისა და ქარგვაქსოვის ქალთა პროფესიონალური სკოლა, რომელსაც თავისი დროის კარგად განსწავლული ქალბატონი ნოტია ლოლუა ხელმძღვანელობდა. ეს სასწავლებელი, 1897 წლიდან 1906 წლამდე, ექვსთვიანი კურსების სახით ფუნქციონირებდა, ხოლო 1907 წლიდან 3-წლიან სასწავლებლად გადაკეთებულა. აქ მოსწავლეეები, ხელსაქმესთან ერთად, (ჭრა-კერვა, ქსოვა, ოქრომკერდით ამოქარგვა და ამოქსოვა), დაწყებით განათლებასაც იღებდნენ (ისწავლებოდა ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა, ხატვახაზვა, სამოქალაქო ისტორია, გალობა და საღვთო სჯული). ფოთის თვითმმართველობას ნოტია ლოლუას სკოლისთვის სუბსიდიაც კი ჰქონდა დანიშნული.

ნიკო ნიკოლაძე დღენიადაგ ზრუნავდა და იღვწოდა საშუალო საგანმანათებლო დაწესებულების დაარსებისთვის. მის მიზანს წარმოადგენდა საპორტო ქალაქში ვაჟთა გიმნაზიის ან რეალური სასწავლებლის დაფუძნება.

ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებიდან გამომდინარე, 1902 წელს ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით, ფოთში დაბალი ტიპის ოთკლასიანი (სამრეწველო) სასწავლებელი გახსნილა, რომელიც, ყოველწლიურად, დიდი რაოდენობით დურგლებს, ხარატებს, მჭედლებს ამზადებდა.

1902 წელს, ზემდგომო ორგანოების თანხმობის შემდეგ, ფოთის თვითმმართველობამ სამეგრელოს მოედანზე გამოჰყო 2400 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი ვაჟთა გიმნაზიის ასაგებად. ხარჯთაღრიცხვით მშენებლობა 75 398 მანეთი ჯდებოდა. ამ თანხის ნაწილის დაფარვას სახელმწიფო ხაზინა და ფოთის თვითმმართველობა კისრულობდა, ხოლო დანარჩენი საქველმოქმედო შემოწირულობებს უნდა დაეფარა. აღნიშნული გიმნაზიის მშენებლობა 1903 წელს დაიწყო (პროექტის ავტორი – გ. ვასუკევიჩი) და 1906 წლისთვისთვის, დიდი წვალებისა და ჯაფის შემდეგ, დამთავრდა. ვაჟთა გიმნაზიაში სწავლება 8 წელი მიმდინარეობდა და სწავლის ქირა წელიწადში 50-ს, მოგვიანებით კი 100 მანეთს შეადგენდა. ნიკო ნიკოლაძის რჩევით, ამ სასწავლებლის დირექტორად ცნობილი პედაგოგი ალექსანდრე იანგულოვი (იანგულაშვილი) დაუნიშნავთ.

1902 წლისთვის, ფოთში, ქალთა პროგიმნაზიაც გახსნილა, თუმცა ამ პერიოდისათვის ქალაქში კიდევ არსებობდა ქალთა „წმინდა ოლღას" სასწავლებელი. ფოთის ქალთა პროგიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს ენერგიული მუშაობითა და მცდელობით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. ნიკოლაძე, ი. ფანცხავა, ი. მეუნარგია, კ. მიქაბერიძე და სხვები, 1907 წლისთვის, ქალთა პროგიმნაზია ქალთა 8-კლასიან გიმნაზიად გადაკეთდა.

ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში ამღზრდელებად მოწვეულ იყვნენ სახალხო განათლების ამაგდარი მუშაკები. თავისთავად, ფოთში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გახსნამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მომავალი თაობის, მომავალი ინტელიგენციის ფორმირების საქმეში. გარკვეული დროის შემდეგ ფოთის გიმნაზიის არა ერთმა და ორმა კურსდამთავრებულმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი სასწავლებელს, თუმცა ამაზე შემდგომში ვისაუბრებთ.

**ვარლამ გოგუაძე**
*ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის დირექტორი*

# ინფორმაცია

* * *



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია გახსნეს. უნიკალურ სასწავლო ცენტრში სამშენებლო სფეროსთვის აუცილებელი 100-მდე ლაბორატორიული სამუშაოს განხორციელებაა შესაძლებელი. ამიერიდან, საქართველოში მომზადდება სპეციალისტები, რომლებიც საშენი მასალების, მასალათა გამძლეობისა და სამშენებლო კონსტრუქციების საექსპერტო სამუშაოს ადგილზე ჩაატარებენ და აღარ იარსებებს უცხოელი ექსპერტების მოწვევის ან კვლევასა და ექსპერტიზაზე მასალის უცხოეთში გაგზავნის აუცილებლობა.

ლაბორატორიაში 80-ზე მეტი დასახელების დანადგარი და აპარატურაა განთავსებული, რაც საშუალებას იძლევა უშუალოდ სასწავლო პროცესში ფართოდ აისახოს თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები. ლაბორატორიაში შესაძლებელია სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო სამუშაოები სამშენებლო ინდუსტრიის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით განხორციელდეს. კერძოდ, ლაბორატორიას აქვს როგორც პრაქტიკული დანიშნულების, ასევე კვლევითი ხასიათის სამუშაოების შესრულების პოტენციალი, მათ შორის:

კონკრეტულ სამშენებლო ობიექტზე გამოყენებული ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლების განსაზღვრა;

ინერტული მასალების ფრაქციული ანალიზი ევროპული სტანდარტით (ევროკოდები);

ცემენტის აქტივობის განსაზღვრა, მისი მარკის დადგენით;

ბეტონის რეცეპტის დამუშავება სხვადასხვა ქიმიური დანამატების გამოყენებით და მათი სიმტკიცის მახასიათებლების დადგენა;

ასფალტობეტონის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრა;

არმატურის სიმტკიცის პარამეტრების დადგენა ნატურიდან აღებული ნიმუშების გამოცდით გაჭიმვაზე და ღუნვაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ბოლო პერიოდში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, სხვადასხვა მიმართულების არაერთი მნიშვნელოვანი სასწავლო ლაბორატორია გაიხსნა, ყველა მათგანი ტექნიკის თანამედროვე მოდელის აპარატურითა და საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი.

* * *

მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთის პირველი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა. განახლებული სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ გახსნეს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა და ახალი სასწავლო წლისთვის დასრულდა. სკოლის შენობას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რეაბილიტაცია ორივე სართულზე განხორციელდა. კაპიტალურად შეკეთდა საკლასო ოთახები, დერეფნები. სკოლის შენობა გადაიხურა და შეიცვალა კარ-ფანჯარა.

ალგეთის პირველი საჯარო სკოლა, რომელიც 600 მოსწავლეზეა გათვლილი, აზერბაიჯანულენოვანია და მისი რეაბილიტაცია აზერბაიჯანული მხარისა და კომპანია „სოკარის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სკოლის ტექნიკური აღჭურვა და ინვენტარით მომარაგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო.



* * *

ახალ სასწავლო წელს საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი საკვირაო სკოლები ახალი სასწავლო პროგრამებით და ახალი სახელმძღვანელოებით შეხვდნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ საზოგადოებას უცხოეთში არსებული საკვირაო სკოლების ქართველი მოსწავლეებისთვის შექმნილი ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიისა და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები წარუდგინეს.

სახელმძღვანელოები იმ მემორანდუმის ფარგლებში მომზადდა, რომელიც უცხოეთში არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და სახელმძღვანელოების შექმნას ითვალისწინებდა.

სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს გეოგრაფიასა და საქართველოს ისტორიაში ორი ასაკობრივი ჯგუფისთვისაა განკუთვნილი, რომელთაც ახლავს მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო და მოსწავლის სამუშაო რვეული.

აქამდე საკვირაო სკოლებისთვის არ არსებობდა ერთიანი პროგრამა და მეთოდური მითითებები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული პროგრამები დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და, ამავდროულად, გათვალისწინებულია საზღვარგარეთ არსებული საგანმანათლებლო გარემო.

სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები განთავსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდებზე. ამ რესურსით სარგებლობა ყველა საკვირაო სკოლას შეუძლია.

* * *

13 ოქტომბერს მსოფლიო კატასტროფების რისკის შემცირების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში რულანდ მონაშმი და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში ჯეიმი მაკგოლდრიკი დაესწრნენ.



ღონისძიება ორგანიზებული იყო გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის, საქართველოს მთავრობის, ევროკომისიის ჰუმანიტარული მისიის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან თანამშრომლობით.

კატასტროფების რისკის შემცირების საერთაშორისო დღე, ყოველწლიურად, 13 ოქტომბერს აღინიშნება და მისი მიზანია საზოგადოების უკეთ ინფორმირება, როგორ შეიძლება ისეთი კატასტროფების რისკის შემცირება, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი და სხვ. წელს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვებსა და ახალგაზრდებთან თანამშრომლობას.

ღონისძიების მსვლელობისას აქცენტი გაკეთდა განათლების სექტორის იმ ძირითად მიღწევებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვებისა და თემების უსაფრთხოებასა და დაცულობას. ძირითად მიღწევებს შორისაა: ეროვნულ სასწავლო გეგმაში კატასტროფების რისკის შემცირების კომპონენტის ჩართვა; საგნის „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ და სპეციალური სადამრიგებლო საათის პროგრამის შემოღება V-IX კლასელთათვის; პირველად საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების საგანმანათლებლო პორტალის შექმნა ყველა სამიზნე ჯგუფისათვის; სკოლებში კატასტროფისადმი მზადყოფნის ღონისძიებების პილოტირება.

ამ დღეს ხელი მოეწერა ბავშვთა საერთაშორისო ქარტიას და ამით ქართველი ბავშვები შეუერთდნენ თანატოლებს მთელ მსოფლიოში, ბავშვთა ქარტიის ხუთი პრიორიტეტია: სკოლების უსაფრთხოება – კატასტროფებმა არ უნდა შეაფერხონ სასწავლო პროცესი; ბავშვთა დაცვის პრიორიტეტულობა კატასტროფამდე, მის დროს და მის შემდეგ; ბავშვების და ახალგაზრდების უფლება, მიიღონ მონაწილეობა და ხელი მიუწვდებოდეთ საჭირო ინფორმაციაზე; ადგილობრივი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და აღდგენითი და სამაშველო სამუშაოების შედეგად რისკების შემცირება; კატასტროფების რისკის შემცირებისას განსაკუთრებული ყურადღება ყველაზე დაუცველ მისახლეობაზე.

ბავშვთა ქარტია ეფუძნება მსოფლიოს 21 ქვეყნის 600-ზე მეტი ბავშვის აზრს, რომლის თანახმად, განათლება, ბავშვთა დაცვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უმთავრესია მათ ოჯახებსა და თემებზე ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების დამანგრეველი გავლენის შესამცირებლად.

* * *



კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში „კავკასიის უნივერსიტეტის“ 300-მდე კურსდამთავრებულს საზეიმო ვითარებაში დიპლომები გადაეცათ. ღონისძიებას დაესწრო და სტუდენტებს სიტყვით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები და სხვა საპატიო სტუმრები.

„კავკასიის მედიის სკოლას“ წელს კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება ჰყავს. ორმაგი ხარისხის პროგრამის ოც კურსდამთავრებულს, „კავკასიის უნივერსიტეტის“ დიპლომის პარალელურად, ჩესტერის, გრენობლის და ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტების დიპლომები გადაეცათ.

ღონისძიების ფარგლებში, საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ: ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ანდრეს კეევალიკს, მედიცინისა და ნევროლოგიის ასოცირებულ პროფესორ კენეტ ვოლკერს და Maybank Industries-ის პროგრამული განვითარების ვიცე-პრეზიდენტ დევიდ შიმფს.

წელს „კავკასიის უნივერსიტეტს“ მაგისტრატურაზე – 21, ხოლო ბაკალავრიატზე 269 კურსდამთავრებული ეყოლება, მათგან 179 – ბიზნესის სკოლის, 74 – სამართლის სკოლის, 16 მედიის სკოლის საბაკალავრო პროგრამების კურსს ასრულებს. კურსდამთავრებულთა ეს რაოდენობა „კავკასიის უნივერსიტეტის“ ისტორიაში უპრეცედენტოა.

* * *

სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი „წიგნის მეგობარი“ გრძელდება. პროექტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე თბილისის №51 სკოლის მეორეკლასელებს შეხვდნენ და პატარებს კითხვისა და ზოგადად წიგნიერების მნიშვნელობაზე ესაუბრნენ.

ფინანსთა მინისტრმა პატარებთან ერთად სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები წაიკითხა, მათი ცოდნა მათემატიკაშიც შეამოწმა და საჩუქრად „სახალიხო მათემატიკის“ წიგნები დაურიგა. სკოლის ბიბლიოთეკას დიმიტრი გვინდაძემ „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული წიგნები გადასცა, რომლებშიც შესულია ცნობილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები, ქართული ხალხური ზღაპრები და საყმაწვილო მოთხრობები.

პროექტი „წიგნის მეგობარი“ რამდენიმე წელია ხორციელდება და მისი მიზანია, ბავშვებს განუვითაროს კითხვის, მოსმენისა და წაკითხულის გააზრების უნარები, ხელი შეუწყოს წიგნიერების და კითხვის პოპულარიზაციას.

პროექტის კონცეფციის მიხედვით, უფროსკლასელები, სტუდენტები, მწერლები, ცნობილი ადამიანები და სხვა მოხალისეები უმცროსკლასელებს კლასგარეშე ლიტერატურას უკითხავენ, ვიქტორინებს აწყობენ, იმართება დისკუსიები წაკითხული მასალის ირგვლივ. ანალოგიური პროექტი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხორციელდება და მასში ბევრი ცნობილი ადამიანია ჩართული.

უმცროსკლასელებთან მხატვრული ლიტერატურის ერთობლივი კითხვა მომავალშიც გაგრძელდება, პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა არაერთმა ცნობილმა ადამიანმა, მათ შორის საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა და პოლიტიკოსებმა.



სპორტი

# სპორტული კლუბი სკოლაში

სამშაბათს, დედაქალაქის 115-ე საჯარო სკოლაში, სპორტული კლუბი „მორკინალი“ დაფუძნდა, რაც გლდანი-ნაძალადევის რაიონის 5 სკოლის შეთანხმებით მოხდა. დამფუძნებელთა შორის 115-ე (დირექტორი – **ზვიად ქადარია**, სპორტის მასწავლებელი – **გია ბეგიაშვილი**), 114-ე (დირექტორი – **გულიკო გაბიტაშვილი**, მასწავლებელი – **ამირან რცხილაძე**), 69-ე (დირექტორი – **თეა პაპავა,** მასწავლებელი – **შალვა ცომაია**), 207-ე (დირექტორი – **ზურაბ ჩხაიძე,** მასწავლებელი – **დავით ხავთასი**) და 173-ე (დირექტორი – **თინათინ ნასიძე,** მასწავლებელი – **დავით მენაბდიშვილი**) სკოლები შევიდნენ, კლუბის პრეზიდენტად კი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ევროპის ორგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე** აირჩიეს. ხელმოწერის ცერემონიალი პრეზიდენტსა და აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელთა შორის 115-ე სკოლაში გაფორმდა. ღონისძიება სიმღერებით მართლაც რომ გაალამაზა ადგილობრივ მოსწავლეთა ანსამბლმა. ასანიძემ ხუმრობით იდეაც წამოაყენა, კლუბის სამოქმედო გეგმა ხომ არ გაგვეფართოებინა და მასში კულტურული პროგრამაც შეგვეტანაო.



კლუბის დაფუძნების მიზანი სკოლებს შორის სპორტული (და არა მხოლოდ) კონტაქტების გაღრმავებაა. იგეგმება მათ შორის სპორტული შეჯიბრებების ჩატარება ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, კარატეში, ქართულ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ბაგირის გადაძალვაში. ამათგან მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში მასწავლებლებისა და მოსწავლეების შერეული გუნდები იქნება, ფრენბურთში მასწავლებლებისთვის ცალკე ტურნირი ჩატარდება, დანარჩენ სახეობებში კი მოსწავლეთა გუნდები ითამაშებენ. უკვე გაწერილია შეჯიბრების კალენდარი – ასპარეზობა ფეხბურთით დაიწყება, რომელიც 20 ოქტომბერს აიღებს სტარტს, მერე კი სხვა სახეობების ჯერია. შეჯიბრებები ზემოაღნიშნული 5 სკოლის ბაზაზე ჩატარდება, ვისაც რისი საშუალება აქვს, და სპონსორებიც ეს სკოლები არიან. გამარჯვებულები გამოვლინდებიან როგორც ცალკეულ სახეობებში, ასევე – ქულათა საერთო მაჩვენებლით, რაც ასპარეზობების დამთავრებისას დაჯამდება. ჩემპიონ-პრიზიორები დიპლომებსა და სამახსოვრო საჩუქრებს მიიღებენ.

ხელმოწერის ცერემონიალზე გიორგი ასანიძემ განაცხადა: *„იდეა ძალიან კარგია. ვფიქრობ, ეს წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან საშუალებას იძლევა, სპორტი ფართოდ ჩაერთოს განათლების სისტემაში. აქ შედის სპორტის არა მარტო ის სახეობები, რაც სპორტის გაკვეთილებზე არჩეული აქვთ კონკრეტულ სკოლებს. ვფიქრობ, ამ იდეას რაიონისა თუ დედაქალაქის ბევრი სკოლა შეუერთდება“.*

კლუბის დაარსების იდეას პროგრესული უწოდა და მიესალმა ყველა დირექტორი. მთავარია, მოზარდი მოვწყვიტოთ ქუჩას - ასეთი იყო გამომსვლელთა საერთო პათოსი. სპორტის პედაგოგებმა კონკრეტული ფაქტების მაგალითზე აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდია მოსწავლეებში ინტერესი სპორტისადმი, მაგრამ ამას კოორდინირება სჭირდება. ითქვა პრობლემებზეც. მაგალითად, როცა სკოლებს უფლება ეძლევათ ამა თუ იმ სახეობის არჩევისა, არის თუ არა ამდენი რაოდენობის სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებელი ქვეყანაში ან თუნდაც მხოლოდ დედაქალაქში. ამ თემაზე მსჯელობა ფეხბურთის მაგალითზე წარიმართა და იმის მიუხედავად, რომ სპორტის მასწავლებელთა შორის ერთი აღმოჩნდა „C“ ლიცენზიის მფლობელი, რაც მას სამწვრთნელო მუშაობის საშულებას აძლევს, საერთო აზრით, ეს პრობლემა მაინც აქტუალურია. ითქვა, რომ ამ ლიცენზიის აღებაც ძალიან გაძვირდა – 400 ლარი ღირს, ამხელა ხელფასი კი იქნებ ბევრს არც ჰქონდეს. ცხადია, ეს პრობლემა დასარეგულირებელია. პრობლემაა ისიც, რომ თვით ამ ტიპის კლუბების არსებობა და ამგვარი ღონისძიებების ჩატარება დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს – სავარჯიშო პროცესი გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს, ანუ გაკვეთილების დასრულების შემდეგ უნდა წარიმართოს, რადგან საგაკვეთილო ფორმატში ტურნირისთვის მომზადება არ მოხერხდება, ასპარეზობები კი, ძირითადად, შაბათ-კვირას ან ისევ გაკვეთილების შემდეგ უნდა გაიმართოს. ცხადია, ეს მასწავლებელთაგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს, ამაში კი მათ დამატებით ანაზღაურებას არავინ მისცემს. მეტიც, მათ ეკრძალებათ ფასიანი ჯგუფების დაარსება. ეს პრობლემაც სავსებით რეალურია.

თუმცა თავად ამგვარი კლუბების არსებობის იდეა მართლაც პროგრესულია და უკვე გამოიწვია ინტერესიც – პროექტთან მიერთების სურვილი დედაქალაქის კიდევ ხუთმა სკოლამ და ქუთაისმაც გამოთქვეს. აღსანიშნავია, რომ თბილისური სკოლები არ მიეკუთვნებიან გლდანი-ნაძალადევის რაიონს, ანუ პროექტი საქალაქო მასშტაბებზე გადის, ქუთაისელებთან კი უკვე კონკრეტული მოლაპარაკეებიც დაიწყო – მათ გამოთქვეს სურვილი, მონაწილეობა მიიღონ მძლეოსნობასა და ქართულ ჭიდაობაში.

როგორც ითქვა, ამგვარი კლუბის დაარსება უპრეცედენტოა იმის მიუხედავად, რომ კანონი ადრეც იძლეოდა ამის საშუალებას, თუმცა, არცთუ გამართული საკანონმდებლო ბაზისა და მთელი რიგი ფაქტორების გამო, მისი ამოქმედება ვერ მოხერხდა. მაგალითად, მეც ვიცი შემთხვევები, რომ სკოლებს სურდათ ოლიმპიური კლუბის დაარსება, რაც სპორტის სახეობათა ასევე კომპლექსური გაერთიანება იქნებოდა, მაგრამ საკანონმდებლო აკრძალვების გამო ვერ მოახერხეს. გიორგი ასანიძე ფიქრობს, რომ დეკემბერში პარლამენტში განსახილველად შესატანი სპორტის ახალი კანონი ამ მხრივ სკოლებს მეტ გასაქანს აძლევს და იმედოვნებს, რომ ეს აღნიშნული პროექტის მასობრივად განვითარებას ხელს შეუწყობს.

* * *

საქართველოს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა გუნდებმა წარმატებით იჭიდავეს რიგაში, თანატოლთა მსოფლიოს პირველობაზე – ორივე ნაკრების საერთო შედეგი იყო – 5 ოქრო, 4 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. აქედან ვაჟების ახალგაზრდული გუნდის მიღწევა – 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ **გიორგი ნოზაძე** (90) და **სლავა რეზესიძე** (+100); **ვახტანგ ჩიდრაშვილმა** (57), **თორნიკე თათარაშვილმა** (62) და **ლაშა ზურაბიანმა** (82) მხოლოდ ფინალური შეხვედრები დათმეს. **ზვიად კაპანაძე** (68) კი მესამე ადგილზე გავიდა. ჭაბუკებმა 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოინადავლეს. ამ ასაკში, ჩემპიონობით, **მიხეილ მეზურნიშვილმა** (70), **გიორგი ბიწაძემ** (75) და **ალექსანდრე მილდიანმა** (87) გაგვახარეს, **ბექა ტუღუში** (65) ვერცხლს დასჯერდა, **აბესალომ ვაშაყმაძე** (52) და **გაგა ჯიხვაძე** (+87) მესამეზე გავიდნენ. ბიჭების ორივე ნაკრებმა, თავ-თავის ასაკში, საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი მოიპოვეს რუსების შემდეგ.

კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი გოგონებში ვირგუნეთ, სადაც ერთადერთი მონაწილე გვყავდა – ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **შორენა შარაძე** (64), რომელიც მესამეზე გავიდა.

ცხადია, ყველას მედალი და წარმატება აღსანიშნავია, მაგრამ სლავა რეზესიძეს მაინც გამოვარჩევთ – დმანისელი ათლეტი ჭაბუკებში ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ახლა აქ გადმოინაცვლა და ჯერ ჩეხეთში ევროპირველობაზე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ახლა კი ახალგაზრდებშიც დაიწყო მსოფლიოს ოქროების ათვლა.






*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

* * *

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა, ამ უქმეებზე, წარმატებით იჭიდავეს სომხურ იჯევანში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონ გლენ მეჯლუმიანის მემორიალზე – 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი პასიკაშვილი** (46), **ლევან მურადხანაშვილი** (69) და **ირაკლი მწითური** (76); **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (63) მხოლოდ ფინალური შეხვედრა წააგო; **ბექა წიკლაური** (58), **ტარზან მაისურაძე** (63), **გიორგი ბეჟაშვილი** (69), **დავით ლილუაშვილი** (85) და **ნიკა მელიქიშვილი** (100) მესამეზე გავიდნენ.

ხაშურისა და ონის ტურნირების შემდეგ ეს შეჯიბრება ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი იყო საგაისოდ დასაკომპლექტებელი გუნდის გზაზე. სომხეთში წასაყვანი შემადგენლობაც იმ ორი ტურნირის შედეგების მიხედვით შეირჩა, თუმცა მწვრთნელმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** ორ-ორი კაცი მხოლოდ ორ წონაში – 63-69 გააგზავნა (თვითონ ამჯერად გუნდს არ გაჰყოლია). ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ამბავიც 69 კგ წონით კატეგორიაში მოხდა, სადაც ნახევარფინალში ქართველები შეხვდნენ ერთმანეთს – ხაშურის ტურნირის გამარჯვებულმა მურადხანაშვილმა ონში გამარჯვებულ ბეჟიაშვილს სძლია. თუმცა, მომავალ წლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ბევრი რამეც შეიცვლება. ამდენად, ნაკრებში მოხვედრაზე ჯერ ლაპარაკიც კი ადრეა, თუმცა შიდა რეიტინგისთვის ასეთი დეტალები მაინც მნიშვნელოვანია. ხაშურის ტურნირის ჩემპიონები არიან გაფრინდაშვილი და წიკლაური, რომლებმაც წონაში საკუთარი პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარეს. აღსანიშნავია პასიკაშვილის წარმატებაც, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შიდა ტურნირში ამ წონაში ბათუმელმა **რამაზ ზოიძემ** გაიმარჯვა (ონში ფინალიც მოუგო პასიკაშვილს). მელიქიშვილი ონში მეორეზე გავიდა, ლოლაშვილი – მესამეზე, თუმცა ამჯერად 85-ში გამოვიდა.

თვის ბოლოს ქართველი ჭაბუკები მორიგ გამოცდას ამბროლაურში ჩააბარებენ, სადაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **გურამ საღარაძის** სახელობის ტურნირში იჭიდავებენ.

ჭაბუკთა ნაკრებამდე სომხეთში, ამჯერად ქალაქ არტაშატში ასევე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იმყოფებოდნენ, ოღონდ – სპორტკლუბ „მართვეს“ გუნდი. რაზმიკ გოლეტიანის სახელობის ტურნირზე ქართველმა ახალგაზრდებმა 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვეს. ქართული ფინალი იქაც გაიმართა – 74 კგ-ში **ალექსანდრე ჯაჭვაძემ დიმიტრი ბასილაშვილი** დაამარცხა. ჯაჭვაძესთან ერთად, ჩემპიონები გახდნენ **გიორგი კაკაურიძე** (96) და **დავით გობეჯიშვილი** (120), ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: **გიორგი კაპანაძემ** (50), **ლევან ცალქალამანიძემ** (55), **იაკობ პეტრიაშვილმა** (84) და **გიორგი გონაშვილმა** (120).

„მართვეს“ ახალგაზრდა მოჭიდავეები ამ დღეებშიც ესტუმრებიან სომხეთს, ქალაქ ვანაძორს, სადაც იქაურთა სახელოვანი მწვრთნელის, ვეტერანებში ცხრაგზის მსოფლიო ჩემპიონ **ჟორა ოგანესიანის** სახელობის ტურნირზე იასპარეზებენ (სხვათა შორის, ოგანესიანი ამ უქმეებზეც ჭიდაობდა ვეტერანთა მსოფლიო პირველობაზე ტირანაში, თუმცა ამჯერად ხელი მოეცარა და ტიტული მეათედ ვერ მოიპოვა). იქ ჩვენები შემცირებული გუნდით წავლენ: ზემოხსენებული **ტარიელ გაფრინდაშვილი** (63), **გიორგი გელაშვილი** (50), **ფერდინანდ გონაშვილი** (55) და **გიორგი ბოხუა** (69).

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

## ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი, – 11 ლარი
- ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი, – 13 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი, I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა, I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია, I, II, III, VI, VII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე, I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე, I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი, I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე, I-V ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## გამომცემლობა ,,დიოგენესა“ და გაზეთ ,,ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

### გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში!
მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



## „ახალი განათლების“ წიგნის თარო

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
**31 ოქტომბრამდე**

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

## შემოგვიერთდით!




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი



### „რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

C M Y K